

**გენდერული სტატისტიკის შეგროვება,
დამუშავება და გავრცელება გენდერული
ძალადობის კრევენციისა და
დაძლევისათვის საქართველოში**

2019

კვლევის ავტორები: ანა არგანაშვილი, ნანა გოჩიაშვილი

რედაქტორი: ნინო ბეჭიშვილი

წინამდებარე კვლევა მომზადებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების და ანალიზის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) მიერ.

ეს კვლევა განხორციელდა ამერიკელი ხალხის დახმარებით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“. დოკუმენტი არ ასახავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მოსაზრებებს.



სარჩევი

- წინასიტყვაობა..... 5
- 1. შესავალი 7
- 2. კვლევის მიზანი 7
- 3. მეთოდოლოგია..... 8
- 4. კვლევის ძირითადი მიგნებები 9
- 5. გაერთიანებული რეკომენდაციები..... 10
 - 5.1 რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის 10
 - 5.2 რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის..... 10
 - 5.3 რეკომენდაციები საქართველოს პროკურატურისთვის 11
 - 5.4 რეკომენდაციები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის..... 11
 - 5.5 რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის..... 12
 - 5.6 რეკომენდაციები საერთო სასამართლოებისთვის 12
- Introduction..... 13
- ნაწილი I..... 18
- 6. გენდერული მონაცემების მნიშვნელობა და აქტუალობა 18
 - 6.1 გენდერული მონაცემების ფორმები..... 18
 - 6.2 გენდერული სტატისტიკის შეგროვების სამართლებრივი ვალდებულება და პრინციპები 18
 - 6.3 ქალთა ძალადობის თემაზე გენდერული სტატისტიკის შეგროვების სამართლებრივი ვალდებულება .. 19
 - 6.4 გენდერული მონაცემების შეგროვების ძირითადი პრინციპები..... 20
 - 6.4.1 კოორდინაცია ადმინისტრაციულ მონაცემებსა და კვლევის შედეგებს შორის 20
 - 6.4.2 მონაცემების შეგროვების რეგულარობა (11.1-11.2)..... 20
 - 6.4.3 მონაცემების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა (11.4)..... 20
 - 6.4.4 სტამბოლის კონვენციის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა შეგროვების მინიმალური სტანდარტი 21

ნაწილი II	22
7. გენდერული მონაცემების შეგროვება საერთაშორისო კონტექსტში.....	22
7.1 გენდერული მონაცემების შეგროვება გაერთიანებული ერების კონტექსტში.....	22
7.2 გენდერული ძალადობის შესახებ გენდერული მონაცემების შეგროვების მნიშვნელობა ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ქვეყნებში.....	22
7.3 გენდერული ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების უპირატესობა და ნაკლოვანება.....	28
7.4 გენდერული ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების მინიმალური სტანდარტი.....	29
7.5 მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვის ეტაპები.....	31
ნაწილი III	32
8. გენდერული მონაცემების შეგროვება საქართველოში.....	32
8.1 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების ეროვნული კანონმდებლობა და საქსტატის როლი.....	32
8.2 გენდერული სტატისტიკის წარმოება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ.....	35
რეკომენდაციები.....	36
8.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება.....	38
რეკომენდაციები.....	47
8.4 საქართველოს პროკურატურის მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება.....	48
8.5 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.....	55
რეკომენდაციები.....	57
8.6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება.....	57
რეკომენდაციები.....	64
8.7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება.....	64
რეკომენდაციები.....	66
8.8 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება.....	66
8.9 თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება.....	67
შეჯამება	69

წინასიტყვაობა

თუკი ერთ საღამოს, საინფორმაციო საშუალებები ტელევიზიით გადმოსცემენ ცნობას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე პოლიციისთვის მიმართვის შემცირებაზე, თქვენ სავარაუდოდ გაგიჩნდებათ კითხვები:

- ▶ გაიზარდა თუ შემცირდა ქალთა მიმართ ძალადობა?
- ▶ ქალების რომელი ჯგუფია (ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სოციალური სტატუსი, შშმ პირის სტატუსი) ძალადობის მიმართ მეტად მონწყვლადი?
- ▶ მიმართვის და დახმარების მიღების პროცესში რა უქმნით მათ ბარიერებს?
- ▶ როგორია ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართვიანობის სიხშირე?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გენდერული მონაცემების გაანალიზებითაა შესაძლებელი.

დღეს საქართველოში, გენდერული მონაცემები სრულყოფილი სახით იშვიათად არის ხელმისაწვდომი. ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის აღიარებული მათი მნიშვნელობა მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისათვის. არ არსებობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს დაავალდებულებს დეტალური მონაცემების შეგროვებას.

ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ქალთა უფლებების დამცველმა იურისტებმა გადაწყვიტეთ, ერთი წლის განმავლობაში ჩაგვეტარებინა ადვოკატირებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების სამუშაოები. გვინდოდა, მოგვეპოვებინა მონაცემები და ის ხელმისაწვდომი გაგვეხადა სხვა ქალებისათვის და ქალთა უფლებებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

გენდერული სტატისტიკის მოსაპოვებლად რთული გზა გავიარეთ. ამ პუბლიკაციის გაცნობით თქვენც ამ გზას დაადგებით. იმედი გვაქვს, თქვენ ჩვენზე უფრო შორს წახვალთ და გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლ ქალებს კიდევ უფრო დიდ მოგზაურობაში წასვლას გაუადვილებთ.

პუბლიკაციის ავტორებმა გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლ იურისტებს: ანა თავხელიძეს, სოფიკო მენაბდიშვილს და მარიამ ქევხიშვილს, რომლებიც ჩვენთან ერთად იცავდნენ სასამართლო პროცესებზე ქალებისათვის გენდერული სტატისტიკის მოპოვების უფლებას. არასამთავრობო ორგანიზაციის “პარტნიორობა ადამიანს უფლებებისთვის” ყველა თანამშრომელს, რომლებიც მონაწილეობდნენ ორგანიზაციაში ამ თემაზე გამართულ ყველა დისკუსიაში და საინტერესო კითხვებით გვიბიძგებდნენ განვითარებისაკენ, ანა აბაშიძეს რომელიც გვამხნევებდა სტატისტიკის მოსაპოვებლად რთული სამართლებრივი პროცესების გავლის დროს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის თანამშრომლებს, მარიამ გაბედავას და ანა ჭობავას, რომლებიც გვაძლევდნენ მნიშვნელოვან უკუკავშირს პუბლიკაციაზე და ჩვენს მეგობრებს, რომლებიც გვარწმუნებდნენ, რომ ეს პუბლიკაცია ღირდა შრომად და ჩვენს გატეხილ ღამეებად.

ანა არგანაშვილი

1. შესავალი

კვლევა წარმოადგენს ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის შესახებ საქართველოში სტატისტიკის წარმოებისა და, ამ მხრივ, სისტემური გამოწვევების გაანალიზების ერთ-ერთ პირველ მცდელობას. აქ განხილულია ქვეყნის მიერ ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ კონვენციის“ (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირების შემდგომ აღებული ვალდებულებები, კონვენციის ძირითადი მოთხოვნები გენდერული სტატისტიკის წარმოების თაობაზე, მონაცემების შეგროვების მინიმალური სტანდარტი და კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით.

კვლევის მიზანია შეაფასოს, რამდენად შეესაბამება ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის შესახებ სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოებული სტატისტიკა საერთაშორისო სტანდარტებს და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს. ასევე, გამოკვეთოს ძირითადი და ყველაზე პრობლემური საკითხები, რომელიც საქართველოში გენდერული სტატისტიკის წარმოების მიმართულებით არსებობს.

წინამდებარე პუბლიკაცია შედგება სამი ნაწილისგან:

- ▶ პირველი ნაწილი მკითხველს აცნობს გენდერული მონაცემების მნიშვნელობას და სთავაზობს განმარტებებს გენდერული მონაცემების შესახებ.
- ▶ მეორე ნაწილი მკითხველს მოუთხრობს ევროკავშირის ქვეყნებისა და გაერთიანებული ერების ხელშეკრულებების კონტექსტში გენდერული მონაცემების შეგროვების საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.
- ▶ მესამე ნაწილი ეთმობა საქართველოში გენდერული სტატისტიკის შეგროვებისა და დამუშავების პრაქტიკის ანალიზს.

2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს გენდერული ასპექტის გათვალისწინების ხარისხის შესწავლა, სხვადასხვა უწყების მიერ მონაცემების შეგროვების ეტაპზე და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში.

გენდერული მონაცემების შეგროვება რამდენიმე ძირითად მიზანს ემსახურება.¹²

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია დეტალური მონაცემთა ბაზის შექმნა, რათა გვეჩვენოს ინფორმაცია თუ რა ხასიათი, შინაარსი და მასშტაბი აქვს გენდერულ ძალადობას ქვეყნის მასშტაბით. მსგავსი მონაცემების არსებობა, უკიდურესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სპეციალისტების, სამედიცინო პროფესიონალების, სერვისის მომწოდებლებისა და მთავრობისათვის სამუშაო სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე. ასევე, კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, დავინახოთ, თუ რა წონა გააჩნია სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისთვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

წინამდებარე სამაგიდო კვლევის განხორციელების ერთ-ერთი მიზანი, კანონმდებლობის აღსრულების ხარისხის და პრობლემის აღმოფხვრაზე მიმართული ღონისძიებების, პრევენციის, დაცვის და რეაგირების, ეფექტურობის მონიტორინგი გახლდათ.

1. ევროპის საბჭო (2011). ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, სტამბული.
2. European Institute for Gender Equality (2014). Administrative data sources on gender-based violence against women in the EU. Current status and potential for the collection of comparable data. p.20. ხელმისაწვდომია (02.02.2019): <https://eige.europa.eu/rdc/eige-publications/administrative-data-sources-gender-based-violence-against-women-eu-report>

და ბოლოს, აღნიშნული კვლევის განხორციელების მიზანია მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით და კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სხვადასხვა უწყებების მიერ, დღის წესრიგში დადგეს ისეთი არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, როგორცაა:

- ▶ მსხვერპლი ქალების მიერ სერვისების მოთხოვნის და მიწოდების მონიტორინგი;
- ▶ გენდერული ძალადობით გამოწვეული დანახარჯების გაზომვა უშუალო და მეორადი მსხვერპლებისთვის და ზოგადად, საზოგადოებისთვის;
- ▶ მსხვერპლის საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო და სოციალური სერვისების დაგეგმვა და განხორციელება;
- ▶ პრობლემის მოგვარების ღონისძიებების და ძალადობა გამოვლილი ქალების საჭიროებების, შესაბამისობის შეფასება - კონკრეტულად, კი რამდენად პასუხობს ჩატარებული ღონისძიებები იმ საჭიროებს, რომელიც ძალადობა გამოვლილ ქალებს გააჩნიათ;
- ▶ ტრენერების დასახმარებლად, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ, საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები ჩაატარონ სპეციალისტებისთვის.

სამაგიდო კვლევის, „გენდერული სტატისტიკის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება გენდერული ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის საქართველოში“, მიზანია სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობაზე მსჯელობის წამოწყება, როგორც ინსტრუმენტზე, რომელიც ხელშემწყობი ფაქტორია, ერთი მხრივ, მოქალაქეებისთვის - ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ბრძოლაში და მეორე მხრივ, უფლებადამცველებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, გენდერული ძალადობის, თანასწორობის თემაზე მომუშავე ნებისმიერი სპეციალისტისთვის, პირველ რიგში კი - სახელმწიფო უწყებებისთვის სამუშაოს სრულყოფილად შესრულების პროცესში.

3. მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის შესახებ საქართველოში არსებული სტატისტიკის შესწავლის და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ კონვენციის“ შედეგად აღებული ვალდებულებების იდენტიფიცირების და გაანალიზების მიზნით, წარმოდგენილი კვლევის მეთოდად შეირჩა სამაგიდო კვლევა.

საქართველოში ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის გენდერული სტატისტიკის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების შესასწავლად გამოყენებული იყო შემდეგი ინსტრუმენტები:

- ▶ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი - კვლევისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა გენდერული სტატისტიკის შესახებ საერთაშორისო სტანდარტები და ამ თემაზე არსებული ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო. სწორედ ამიტომ, კვლევის ერთ-ერთ მიმართულება იყო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესწავლა, ასევე ეროვნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების ვალდებულებას აწარმოოს სტატისტიკა და მათ შორის, აღრიცხოს გენდერული მონაცემები.
- ▶ სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი - კვლევის ამ კომპონენტის ფარგლებში განისაზღვრა ის საკითხები/ინდიკატორები, რომელიც საქართველოში გენდერული სტატისტიკის წარმოების პროცესის და არსებული გამოწვევების გაანალიზების კუთხით იქნებოდა მნიშვნელოვანი. კვლევის პროცესში შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოვითხოვეთ. ამ სტატისტიკური მონაცემების ნაწილი ანგარიშში წარმოდგენილია გრაფიკების სახით.

4. კვლევის ძირითადი მიზნები

კვლევამ გამოავლინა შემდეგი ძირითადი მიზნები:

- ▶ სახელმწიფო უწყებებს არა აქვთ ერთიანი მიდგომა, შეთანხმებული დეფინიციები და მეთოდოლოგია ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის შესახებ სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით³;
- ▶ სახელმწიფო უწყებებს შორის არ არსებობს კოორდინირებული მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის გენდერული მონაცემების საერთო ინდიკატორების მიხედვით დამუშავებას;
- ▶ სახელმწიფო უწყებები ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის შესახებ მონაცემების დამუშავების პროცესში ფაქტობრივად არ ითვალისწინებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების საკითხს⁴;
- ▶ ოჯახში და გენდერული ნიშნით ქალის მიმართ მომხდარი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში არ ხდება ძალადობის ფორმების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სხვა) განსაზღვრა;
- ▶ სახელმწიფო უწყებები საკუთარ ოფიციალურ გვერდებზე გამოქვეყნებულ მონაცემებში, ფაქტობრივად არ ითვალისწინებენ გენდერული სტატისტიკის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს⁵;
- ▶ მონაცემების დამუშავების დროს არ ხდება ისეთი მინიმალური ინდიკატორების გათვალისწინება, როგორებიცაა:
 - ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის სქესი,
 - დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის,
 - მსხვერპლისა და მოძალადის ასაკი,
 - გეოგრაფიული მდებარეობა,
 - ძალადობრივი ქმედებების რაოდენობა,
 - ძალადობის განმეორებადობა.

3. პროექტის მიმდინარეობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა ერთიანი განმარტებები შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონაცემების აღრიცხვისთვის.

პროექტის მიმდინარეობის დროს, 2019 წელს, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შემუსავდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მეთოდოლოგიის პროექტი საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. დოკუმენტის მიზანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება.

4. პროექტის მიმდინარეობის დროს საქართველოს პროკურატურაში დაინერგა ახალი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, რომლის საშუალებითაც 2020 წლიდან შესაძლებელი იქნება ავტომატურ რეჟიმში დაზარალებულთა და ბრალდებულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ პირთა შესახებ ინფორმაციის მიღება.

5. ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის პროექტის თანახმად, პროკურატურა გამოაქვეყნებს ქალთა მიმართ გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკას.

6. პროექტის მიმდინარეობის დროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე შემაკავებელ და დამცავ ორდერებთან დაკავშირებით, დაიწყო სტატისტიკის წარმოება, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის აღრიცხვას ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის სქესის, მსხვერპლსა და მოძალადეს შორის დამოკიდების, მსხვერპლისა და მოძალადის ასაკისა და გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ.

5. გაერთიანებული რეკომენდაციები

- ▶ რეკომენდებულია, ქვეყანაში ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის აღმოფხვრის ერთიანი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდეს გენდერული სტატისტიკის დამუშავებისა და გამოქვეყნების ერთიანი ხედვა და მეთოდოლოგია;
- ▶ რეკომენდებულია, ქვეყანაში ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობის მიზნით გაუმჯობესდეს კოორდინაცია სახელმწიფო უწყებებს შორის;
- ▶ რეკომენდებულია, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მონაცემების დამუშავების დროს ყველა შესაბამისი უწყების მიერ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების შესახებ მონაცემების დამუშავება;
- ▶ რეკომენდებულია, ყველა უწყებამ, რომელიც ჩართულია ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, უზრუნველყოს მონაცემების ხელმისაწვდომობა ოფიციალურ ვებგვერდზე მათი გამოქვეყნების გზით;
- ▶ რეკომენდებულია, მონაცემების დამუშავების დროს გაითვალისწინონ შემდეგი ინდიკატორები: ძალადობის ფორმები, მსხვერპლისა და მოძალადის სქესი, დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის, მსხვერპლისა და მოძალადის ასაკი, გეოგრაფიული მდებარეობა, ძალადობის ინციდენტების რაოდენობა, ძალადობის განმეორებადობა.

5.1 რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის

- ▶ რეკომენდებულია, კომისიამ შეიმუშაოს ერთიანი სტანდარტი გენდერულად დიფერენცირებული სტატისტიკის შესაგროვებლად, როგორც გარე წყაროებიდან, ისე საკუთარი საქმიანობის შესახებ;
- ▶ რეკომენდებულია, კომისიამ გაანალიზოს გენდერული სტატისტიკის მონაცემები დებულებით გათვალისწინებული ამოცანებიდან გამომდინარე, რომელიც ეხება:
 - ქალთა თანასწორობის საკითხებს;
 - ქალთა ძალადობისგან დაცვის საკითხებს;
 - ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ გაეროს რეზოლუციების აღსრულების საკითხებს;
 - აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის საკითხების მენისტრინგს.

5.2 რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის

- ▶ რეკომენდებულია, შემაკავებელი ორდერების სტატისტიკის წარმოებისას შსს-მ აწარმოოს სტატისტიკა, თუ რომელი დანაშაულის გამოძიების პარალელურად გამოიყენა შემაკავებელი ორდერი, სტატისტიკაში დაფიქსირდეს მსხვერპლის და მოძალადის სქესი, რეგიონი, ორდერის გამოცემის განმეორების საჭიროება, ორდერის დარღვევის ფაქტები;
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ აწარმოოს სტატისტიკა, თუ რამდენ შემთხვევაში მოხდა შემაკავებელი ორდერის გამოცემა ერთობლივად ქალი და ბავშვი მსხვერპლის დაცვის მიზნით;

- ▶ განმეორებით გამოცემული შემაკავებელი ორდერების შემთხვევაში, რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს ერთი და იმავე მსხვერპლის დაცვის მიზნით რამდენჯერ იყო გამოცემული ორდერი;
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ აწარმოოს სტატისტიკა ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ ჩვენების შეცვლის თაობაზე;
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ სტატისტიკა აწარმოოს ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე, არა მხოლოდ ოჯახური დანაშაულის კონტექსტში, არამედ დანაშაულების სრულ სპექტრთან მიმართებაში;
- ▶ რეკომენდებულია, 112-ზე შესული შეტყობინებების სტატისტიკა მოხდეს ზარის ავტორის სქესის, რეგიონის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით.

5.3 რეკომენდაციები საქართველოს პროკურატურისთვის

- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურამ ყოველწლიურად დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნების პროცესში გაითვალისწინოს და გამოაქვეყნოს მონაცემები, სადაც განსაზღვრული იქნება გენდერული სტატისტიკის გამოქვეყნების მოთხოვნები;
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურამ დაამუშაოს და გამოაქვეყნოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაზარალებულად ცნობილი ქალების რაოდენობის შესახებ;
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურამ დაამუშაოს და გამოაქვეყნოს მონაცემები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის შესახებ ძალადობის ფორმების მითითებით;
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნას ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სტატისტიკის შეგროვების დამხმარე მეთოდოლოგია.

5.4 რეკომენდაციები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის

- ▶ რეკომენდებულია, სამინისტრომ საქართველოს კანონმდებლობის და სტამბულის კონვენციის შესაბამისად სტატისტიკის შეგროვება უზრუნველყოს, როგორც თავად სამინისტროში ისე, მის საკურაციო რგოლებში: სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, პროფესიულ და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში.
- ▶ რეკომენდებულია, სამინისტრომ გენდერული მონაცემები შეაგროვოს შემდეგ საკითხებზე:
 - გენდერული ძალადობის მსხვერპლი ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების იდენტიფიცირება და შესაბამის სერვისებში გადამისამართება;
 - გოგონების წინაშე არსებული ბარიერები სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების პროცესში, რომელიც პირდაპირ კავშირშია მათ მონყვლადობასთან გენდერული ძალადობის მიმართ;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში გენდერული ბარიერების დაძლევის ღონისძიებები, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პოზიტიური ზომების მიღების და მათი მუშაობის ეფექტურობის გაზომვის შესახებ;

- ქალების დასაქმება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათთვის თანასწორი გარემოს უზრუნველყოფა: შუშის ჭერის, სახელფასო სხვაობის, მშობლის შვებულების და დანინაურების შესაძლებლობის ჩათვლით, რომელიც გავლენას ახდენს მათ მოწყვლადობაზე გენდერული ძალადობის მიმართ.

5.5 რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის

- ▶ რეკომენდებულია, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ აწარმოოს დიფერენცირებული სტატისტიკა სოციალური დახმარების ბენეფიციარი ქალების შესახებ;
- ▶ რეკომენდებულია, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა (შემდგომში - სახელმწიფო ფონდი) აწარმოოს დეტალური სტატისტიკა ძალადობის წინააღმდეგ ცხელ ხაზზე შემოსული შემთხვევების შესახებ, მათ შორის, რამდენი ძალადობის მსხვერპლი ითხოვს ფსიქოლოგიურ, სამედიცინო თუ სხვა ტიპის დახმარებას, რა ფორმის ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ ისინი და ა.შ.
- ▶ რეკომენდებულია, სახელმწიფო ფონდმა გამიჯნოს სტატისტიკა იმ სერვისების შესაბამისად, რომელიც მიწოდდება თავშესაფარში და კრიზისულ ცენტრში განთავსებულ ქალებს და სხვა ქალებს.
- ▶ რეკომენდებულია, სახელმწიფო ფონდმა პროაქტიულად გამოაქვეყნოს სტატისტიკა, რომელიც აღწერს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული სერვისების და თავშესაფრით მოსარგებლეთა რაოდენობას, არამედ მონაცემებს იმის შესახებ, თუ რამდენმა ქალმა შეძლო დასაქმება სახელმწიფო ფონდის დახმარებით, რამდენ ხანში იპოვა სამსახური თითოეულმა მათგანმა (ასევე, საშუალო მონაცემი, თუ რა დრო სჭირდებათ მათ დასაქმებისთვის), რამდენმა ქალმა შეძლო შვილების განათლების უზრუნველყოფა, რამდენმა ქალმა მოახერხა თავშესაფრის შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, საცხოვრისის დაქირავება და ა.შ.
- ▶ რეკომენდებულია, სახელმწიფო ფონდის სტატისტიკა კავშირში იყოს სხვა უწყებების სტატისტიკასთან (მაგ. შსს, პროკურატურა).

5.6 რეკომენდაციები საერთო სასამართლოებისთვის

- ▶ რეკომენდებულია, საერთო სასამართლოების მიერ გამოყენებული გენდერული სტატისტიკის დეფინიციები შესაბამისობაში მოვიდეს სხვა უწყებების მიერ გამოყენებულ დეფინიციებთან⁷.
- ▶ რეკომენდებულია, საერთო სასამართლოების სისტემაში დაიწყოს ოჯახის წევრის მიმართ და გენდერული ნიშნით ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე შემაკავებელ და დამცავ ორდერთა გასაჩივრების შესახებ მონაცემების შეგროვება ძალადობის ფორმების მიხედვით⁸.

7. უწყებების მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოების დროს ერთიანი დეფინიციების გამოყენების მიზნით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში პროექტის მიმდინარეობის დროს იმუშავა ექსპერტმა. მისი მუშაობის შედეგად სასამართლოს მიერ გამოყენებული დეფინიციები შესაბამისობაში მოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყენებულ დეფინიციებთან. თუმცა, დღეს არსებული მდგომარეობით, ელექტრონული პროგრამის ამოქმედებამდე ვერ ხერხდება ყველა მონაცემების დამუშავება.

8. პროექტის მიმდინარეობის დროს, კერძოდ, 2019 წლიდან, სააპელაციო სასამართლოებში დაიწყო გასაჩივრებული მონაცემების შეგროვება

Introduction

The given research is one of the first attempts, to analyze the ways the statistics on domestic violence and gender violence in Georgia is being processed, and what are subsequent systemic challenges. The research focuses on the obligations of the country after ratifying Convention on the Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (the Istanbul Convention), as well as, the main requirements of the Convention on processing gender statistics, the basic standards of collecting the data and experiences of other countries, who are part of the convention.

The aim of the research is to assess, whether the statistics on domestic violence and gender violence by the State agencies correspond to the Istanbul Convention requirements and international standards. Also, to identify the main and the most problematic issues that exist in Georgia in terms of processing of gender statistics.

The research is divided into three parts:

- ▶ The first part focuses on the importance of gender-related data and offers explanations of gender data.
- ▶ The second part is focused on the best practices of collecting gender data in EU countries and in the context of UN agreements.
- ▶ The third part describes the practices of collecting and processing of gender statistics in Georgia.

The aim of the Research

The aim of the research is to study the quality of involvement of gender aspect at the stages of gathering the data, by the different state agencies, and promoting its importance, in the process of the fight for gender equality.

The process of gathering gender data has several key goals.^{9 10}

First of all, it is important to create a detailed database in order to have information about the character, content, and scale of gender violence across the country. The existence of such data is especially important for criminal justice specialists, medical professionals, service providers, and the government, at the stages of developing work strategy and policy. Also, one of the aims of the research is to see how much weight does the inclusion of gender aspects in gathering statistical data has, in developing an evidence-based policy for preventing and eliminating violence against women and domestic violence.

One of the aims of conducting the desk research was the monitoring of the efficiency of executing the law and of the measures aimed at eliminating the problem, as well as, prevention, protection, and response.

And finally, the aim of the research is, based on the findings and taking into consideration the research recommendations by different agencies, to place focus on taking effective steps in this direction, on important issues, such as

9. Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence. Istanbul. (2011).

10. European Institute for Gender Equality (2014). Administrative data sources on gender-based violence against women in the EU. Current status and potential for the collection of comparable data. p.20. available at: (02.02.2019):<https://eige.europa.eu/rdc/eige-publications/administrative-data-sources-gender-based-violence-against-women-eu-report>

- ▶ Monitoring the demand and delivery of services to women victims;
- ▶ Measurement of costs caused by gender violence for direct and indirect victims and the public;
- ▶ Planning and implementation of medical and social services adapted to the needs of victims;
- ▶ The assessment of the relevance of the measures for solving the problem and the needs of women, who experienced violence, namely, whether the implemented measures answer to the needs of these women.
- ▶ To assist trainers, who will be able to conduct special needs training for specialists.

The aim of the desk research, 'Collecting, processing and distributing gender statistics for preventing and overcoming gender violence in Georgia', is to initiate the discussion of the importance of statistical data, as an instrument, which is a supporting factor, on the one hand, for the citizens - in their fight to improve the quality of their lives and on the other hand, for human rights defenders, social workers, for any specialists working on gender violence and gender equality and, first of all, for the state agencies, in the process of completing their work.

Methodology

For the research purposes, for studying the existing statistics on domestic violence and gender violence in Georgia, and for identifying and analyzing the obligations the country after ratifying Convention on the Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, desk research has been selected as a preferred methodology.

In order to study the gathering, processing, and dissemination of gender statistics in Georgia, the following instruments were used:

- ▶ Analysis of international and national legislation - important resources for the research, were international standards on gender statistics and the existing national legislative framework. As a result, one of the directions of the research was the study of international standards and practices, as well as, the analysis of national legislation and subordinate acts, which define the state agencies' obligations to process statistics in general, including gender-related data.
- ▶ Analysis of statistical data - in the frameworks of the mentioned component of the research, the issues/indicators have been defined, which would be important in processing gender statistics and analyzing the existing challenges. The mentioned statistical information was requested in the course of research from the administrative bodies. The part of this statistical data is presented in the report in the form of diagrams.

Main Findings

The main findings of the research are as follows:

- ▶ State Agencies do not have a holistic approach, agreed definitions and methodology on processing statistics of domestic violence and gender violence;
- ▶ There is no coordinated mechanism between the State Agencies, which would make it possible to process gender data according to common indicators;
- ▶ While processing the data on domestic violence and gender violence, State Agencies practically exclude the issues of women with a disability and of an ethnic minority;

- ▶ In the process of investigation and prosecution of domestic and gender violence against women, the forms of violence (physical, psychological, economic and other) are not determined;
- ▶ The State agencies, in the data published on their official sites, do not take into consideration the requirements of publishing gender statistics;
- ▶ while processing the data the basic indicators are not taken into consideration, such as
 - gender of a victim and of an abuser,
 - relations between victim and abuser,
 - the ages of a victim and an abuser,
 - geographical location,
 - the number of violent incidents,
 - the repetitiveness of violence.

Unified Recommendations

- ▶ It is recommended to develop a unified vision and methodology for processing and publishing gender statistics, in order to support the development of uniform, proof-based policies in eliminating domestic violence and gender violence in the country;
- ▶ It is recommended to ensure coordination between state agencies in order to facilitate coordinated work against domestic violence and gender violence in the country;
- ▶ It is recommended that all relevant agencies, process data on women with disabilities and women belonging to ethnic minorities, while processing data on domestic violence and gender violence;
- ▶ It is recommended that all agencies, involved in the prevention of domestic violence and gender violence, ensure public access to the data by publishing them on their official pages;
- ▶ It is recommended to take following indicators into consideration while processing the data: the forms of violence, the gender of a victim and of an abuser, relations between a victim and an abuser, the ages of a victim and an abuser, geographical location, the number of violent incidents, the repetitiveness of violence.

Recommendations for Inter-Agency Commission on Gender Equality, Violence against Women and Domestic Violence

- ▶ It is recommended that the Commission develops a uniform standard for gender-based differentiated statistics from both external sources and about its activities;
- ▶ It is recommended, that the Commission collects differentiated data following the provisions of the regulations, relating to
 - Women's equality issues;
 - Issues of protecting women from violence;
 - Issues of enforcement of UN Resolutions on women, peace, and security;
 - The mainstreaming of gender equality issues in executive power.

Recommendations for the Ministry of Internal Affairs

- ▶ It is recommended that the Ministry of Internal Affairs, while recording statistics on restrictive orders, to process the statistics, in which cases were those orders issued, in parallel to the investigation; the statistics should include the gender of a victim and an offender, the region, the necessity to issue repeated orders, the cases of violation of orders;
- ▶ It is recommended that the MIA conduct statistics, on how many restrictive orders have been issued jointly, for the protection of women and child victims;
- ▶ It is recommended that the Ministry of Internal Affairs conducts statistics on crimes committed against women not only in the context of domestic abuse but in a full spectrum of crimes;
- ▶ It is recommended that the statistics for the calls received through 112 include information on gender, region, age and disability of the caller.
- ▶ In the cases of repeated restrictive orders, it is recommended to specify the number of times the order was issued for the protection of the same victim;
- ▶ It is recommended, the Ministry produces statistics on the change of testimony by women victims of violence;

Recommendations for the Prosecutor's Office of Georgia

- ▶ It is recommended that the Prosecutor's Office of Georgia process and publish data on the number of women, who are victims of domestic violence and/or family offenses;
- ▶ It is recommended that the Prosecutor's Office of Georgia prepare and publish data on change of testimony by the victims of domestic violence and/or family offenses;
- ▶ It is recommended that the Prosecutor's Office process and publish data on domestic violence prosecution cases, including the determination of the forms of violence;
- ▶ It is recommended that the Prosecutor's Office processes and publishes data on domestic violence prosecution cases for disabled women and women of ethnic minorities.

Recommendations for the Ministry of Education, Science, Culture, and Sport of Georgia

- ▶ It is recommended that the Ministry, according to Georgian legislation and Istanbul Convention, gather the statistical information within the Ministry, as well as, bodies curated by the Ministry, such as preschool, school, vocational and higher education institutions.
- ▶ It is recommended that the Ministry collect gender data on the following issues:
 - Identification of children, adolescents and young people, victims of gender violence and redirecting them to relevant services;
 - The existing barriers to girls in the preschool, general, professional and higher education, which are directly related to their vulnerability towards gender violence;
 - Activities to overcome gender barriers in educational institutions, to take positive measures envisaged by the Constitution of Georgia and assess their effectiveness;
 - Women's employment in educational institutions and equal environment, including glass ceilings, wage discrepancies, parental leave and promotion, that is affecting their vulnerability to gender violence.

Recommendations for the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

- ▶ It is recommended that the Social Service Agency conduct differentiated statistics on women beneficiaries of social assistance;
- ▶ It is recommended that State Fund for Protection and Assistance of Victims of Human Trafficking, keep detailed statistics on the cases of violence reported through the hotline, including on how many victims request psychological, medical and other types of assistance, what kind of violence did they experience, etc.
- ▶ It is recommended that the fund differentiate the statistics according to those services, which are offered to women placed in a shelter and the crisis center, and other women.
- ▶ It is recommended that the fund publish the statistics proactively, which shows not only the number of psychological, medical, legal services and shelter beneficiaries but, also how many women have been able to find employment through the fund, how long did it take for each to find employment (as well as, the average data on how much time they need for employment), also, how many women managed to ensure education for their children, how many women managed to start an independent life, to rent, and so on.
- ▶ It is recommended that the statistics of the trafficking fund is linked to the statistics by other agencies (e.g. Internal Ministry, the Prosecutor's Office).

Recommendations for Common Courts

- ▶ It is recommended that gender statistics definitions, used by common courts, are harmonized with the definitions used by other agencies.
- ▶ It is recommended that, in the common court system, start gathering data on appeal of protective and restrictive orders, in cases of domestic violence and gender-based violence against women, according to the forms of violence.

ნაწილი I

6. გენდერული მონაცემების მნიშვნელობა და აქტუალობა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია განმარტებები გენდერული მონაცემების რაობის, მისი ფორმების და შეგროვების მეთოდების შესახებ. ამას გარდა, იხილავთ თუ რა სამართლებრივი ვალდებულებები არსებობს ქალთა ძალადობის თემაზე გენდერული სტატისტიკის შეგროვების კუთხით და რა ძირითადი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდნენ მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

სქესის ნიშნით დახარისხებული მონაცემები (sex-disaggregated data) ასახავს ერთი და იმავე მოვლენის გავრცელებას და განსხვავებას სქესის მიხედვით.

გენდერული სტატისტიკა, რომელიც გენდერული მონაცემის ერთ-ერთი ფორმაა, ეხება ცხოვრების ყველა სფეროს და ასახავს ქალების და კაცების მდგომარეობას საზოგადოებაში, ასევე ამ მდგომარეობის გამომწვევ პოლიტიკის ფაქტორებს.¹¹

ქვეყანა შესაძლებელია აგროვებდეს სქესის ნიშნით დახარისხებულ მონაცემებს, მაგალითად, ქალი მსხვერპლების რაოდენობას მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეებში, თუმცა ეს საკმარისი არ იქნება ისეთი გენდერული პრობლემის შესასწავლად, როგორცაა ფემიციდი (ქალთა მკვლელობები). ამ უკანასკნელის დასადგენად საჭიროა არა მხოლოდ სქესის ნიშნით დახარისხებული მონაცემები, არამედ, იმის დადგენა, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ მკვლელი და მსხვერპლი, და ასევე მსხვერპლის დაცვისათვის გატარებული ან გასატარებელი ღონისძიებების აღნუსხვა.

6.1 გენდერული მონაცემების ფორმები

გენდერული მონაცემები ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი მოპოვების წყაროს და შინაარსის მიხედვით. გამოყოფენ ძირითადად ორი ტიპის გენდერულ მონაცემებს:

- ▶ ადმინისტრაციული მონაცემები, მათ შორის გენდერული სტატისტიკა, რომელსაც აგროვებენ ადმინისტრაციული ორგანოები და რომელიც ემსახურება სამთავრობო უწყებების ქმედებების ეფექტიანობის შეფასებას.
- ▶ სოციალური და მოსახლეობის კვლევები, რომელიც ნათელს ჰფენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მოვლენის გავრცელებას, სიმძიმესა და სიხშირეს, ასევე, იკვლევს იმ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც ასეთ ძალადობას განაპირობებს.

6.2 გენდერული სტატისტიკის შეგროვების სამართლებრივი ვალდებულება და პრინციპები

გენდერული სტატისტიკის შეგროვება ნიშნავს სტატისტიკური მონაცემის გენდერულად დაყოფას. ამავე დროს, გენდერული სტატისტიკის შეგროვებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობა, რომელშიც კაცები და ქალები ცხოვრობენ.

გენდერული ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს სტატისტიკის შეგროვების და დამუშავების პროცესშიც და პროცედურის ნებისმიერ საფეხურზე. მაგალითად, გაანალიზებული უნდა იყოს ის გენდერული ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას მოახდენს სასამართლო სტატისტიკის წარმოებაზე. ასეთ გენდერულ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ქალების არათანაბარი წვდომა სამართლებრივ მექანიზმებსა და იურიდიულ დახმარებაზე, რომელიც სწორედ ამ გენდერული ფაქტორის ზეგავლენით

11. UN ECE, Developing gender statistics, a practical tool. 2010. p.8 http://www.unece.org/fileadmin/DAM/stats/publications/Developing_Gender_Statistics.pdf

მოახდენს ეფექტს ქალების მიერ სხვადასხვა ტიპის სასამართლო დავის წარმოებაზე. ამა თუ იმ ტიპის სასამართლო დავების სტატისტიკაზე, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ისიც, რომ ქალების სასამართლოზე ხელმისაწვდომობა გარკვეულწილად შეზღუდულია.

სტატისტიკის შეგროვების და დამუშავების დროს დამუშავებელმა უწყებამ უნდა გაითვალისწინოს სტატისტიკის შემგროვებელი პირის შესაძლო სტერეოტიპული შეხედულებები, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები. მაგალითად, წინასწარ არსებული ტენდენციური დამოკიდებულება და სტერეოტიპული შეხედულება ზეგავლენას მოახდენს სტატისტიკის ობიექტურ შეგროვებაზე; იმავე ფაქტორს ექნება გავლენა სტატისტიკის დამუშავებაზეც.

გენდერული სტატისტიკის შეგროვების საფეხურები 1996 წელს ჩამოაყალიბეს ჰედმანმა¹² და მისმა კოლეგებმა შემდეგი სახით:

- ▶ გენდერული თანასწორობისთვის პრობლემატური საკითხის იდენტიფიცირება (მაგალითად ქალებისათვის იურიდიული დახმარების და ადვოკატის ხელმისაწვდომობა);
- ▶ იმ სტატისტიკური ინდიკატორების განსაზღვრა, რომელიც ამ პრობლემური საკითხის გამოვლენაში დაგვეხმარება (მაგ. ქალების რაოდენობა, რომლებიც სასამართლოზე ადვოკატის მეშვეობით იყვნენ წარმოდგენილნი, ქალების მიერ უფასო იურიდიული დახმარების მოთხოვნა, ქალების მიმართვიანობა იმ არასამთავრობოებო ორგანიზაციების მიმართ, ვინ ამგვარ სერვისს გასცემენ ა.შ.);
- ▶ იმ საკითხების გამოკვეთა, რომელიც ასახავს ამ მოვლენის განსხვავებულ ზეგავლენას ქალების და კაცების მიმართ (მაგ. იურიდიული მომსახურების ღირებულება, ენის ბარიერი ა.შ.);
- ▶ მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს, სოციალურ და კულტურულ ნორმებს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ტენდენციური მონაცემების შეგროვებაზე;
- ▶ მონაცემების შეგროვება, ანალიზი და პრეზენტაცია გადანყვეტილების მიმღებებისთვის და მაქსიმალურად ფართო საზოგადოებისთვის.

6.3 ქალთა ძალადობის თემაზე გენდერული სტატისტიკის შეგროვების სამართლებრივი ვალდებულება

ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ კონვენციის“ მე-11 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან სტატისტიკის შეგროვების ვალდებულებას ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე.

მუხლი 11 მონაცემთა შეგროვება და კვლევა:

- ▶ ამ კონვენციის განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულნი იქნებიან, რომ:
 - ა) რეგულარულად შეაგროვებენ შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით.
 - ბ) მხარს დაუჭერენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებულ კვლევას, რათა შესწავლილ იქნას მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებელი, ასევე ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტურობა.

12. Hedman, Birgitta; Perucci, Francesca and Sundström Pehr (1996). Engendering Statistics: A Tool for Change, Statistics Sweden Publication Services. ISBN 91-618-0859-8.

- ▶ მხარეები ცდილობენ, რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები.
- ▶ მხარეები ექსპერტთა ჯგუფებს მიაწვდიან, როგორც მითითებულია ამ კონვენციის 66-ე მუხლში, ამ მუხლის შესაბამისად შეგროვებულ ინფორმაციას, რათა წახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და ხელი შეუწყონ საერთაშორისო სტანდარტების შექმნას.
- ▶ მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ მუხლის შესაბამისად შეგროვებული ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.

6.4 გენდერული მონაცემების შეგროვების ძირითადი პრინციპები

6.4.1 კოორდინაცია ადმინისტრაციულ მონაცემებსა და კვლევის შედეგებს შორის¹³

სტამბოლის კონვენციის მოთხოვნით კოორდინირებული უნდა იყოს იმ უწყებათა მუშაობა, რომლებიც აგროვებენ ადმინისტრაციულ მონაცემებს გენდერული ძალადობის შესახებ. პირობითად, დაუშვებელია ქალთა მკვლევლობების შესახებ სხვადასხვა უწყება სხვადასხვა სტატისტიკას აქვეყნებდეს. შესაბამისად, უწყებებს შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება სტატისტიკის იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა შეგროვებაც სრულფასოვნად აღწერს ამა თუ იმ მოვლენას. თავის მხრივ, აღნიშნული კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს იმ სამოქმედო ჩარჩოდან, რასაც უწყებები ადგენენ გენდერულ ძალადობასთან ეფექტურად საბრძოლველად. აღნიშნული კატეგორიების გათვალისწინების ვალდებულება უნდა ჰქონდეთ ასევე აკადემიურ მკვლევარებსაც, რომლებიც სოციალურ კვლევებს ატარებენ გენდერული თანასწორობასა თუ გენდერულ ძალადობაზე.

კოორდინაციის პრინციპი ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე უწყება მონაცემებს აგროვებს მხოლოდ საკუთარი საქმიანობის ვიწრო შეფასებისთვის და არა, ზოგადად, ქვეყანაში გენდერული ძალადობის მდგომარეობის შეფასებისთვის.

6.4.2 მონაცემების შეგროვების რეგულარობა¹⁴ (11.1-11.2)

კონვენციის მოთხოვნის თანახმად, ადმინისტრაციული მონაცემები უნდა შეგროვდეს რეგულარულად, რათა შესაძლებელი იყოს ცვლილების დანახვა და გაზომვა. კონვენცია არ აკონკრეტებს დროით ინტერვალს, თუმცა, იგულისხმება, რომ მონაცემები სულ მცირე, ყოველწლიურად უნდა განახლდეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირადაც. დროითი ინტერვალის მიუხედავად არ უნდა მოხდეს მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ცვლილება, რათა შესაძლებელი იყოს მოპოვებული მონაცემების ერთმანეთთან შედარება.

6.4.3 მონაცემების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა (11.4)¹⁵

კონვენციის თანახმად, მონაცემების შეგროვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. არ არის საკმარისი მონაცემები შეგროვდეს და დაცული იყოს სპეციალურ არქივში, არამედ მნიშვნელოვანია ამ მონაცემებმა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე ძალადობის შესახებ. პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რომ ეს მონაცემები განთავსებული იყოს ერთ და ადვილად ხელმისაწვდომ ონლაინ პლატფორმაზე, იყოს მარტივად აღსაქმელი ფართო საზოგადოებისთვის და იძლეოდეს ჩაღრმავების შესაძლებლობას პროფესიული საზოგადოებისთვის. მონაცემები უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა პირმა გააანალიზოს და

13. Council of Europe (2016). Ensuring data collection and research on violence against women and domestic violence: Article 11 of the Istanbul Convention. ხელმისაწვდომია (02.02.2019): <https://rm.coe.int/1680640efc> გვ.9-11

14. იქვე გვ. 9-11.

15. იქვე გვ. 9-11.

ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა უწყების სტატისტიკა, ასევე, სხვადასხვა დროს და ადგილას შეგროვებული მონაცემი. ამავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალური მონაცემების დაცვას, როგორც ამას ითხოვს სტამბოლის კონვენციის 65-ე მუხლი.

6.4.4 სტამბოლის კონვენციის მიერ შემოთავაზებული მონაცემთა შეგროვების მინიმალური სტანდარტი

სტამბოლის კონვენცია გვთავაზობს გენდერულ მონაცემთა კატეგორიების იმ მინიმალურ ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია შეგროვდეს თოთოეულ წევრ სახელმწიფოში:

- ▶ მონაცემები გენდერული ძალადობის ფორმების შესახებ;
- ▶ გენდერული ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი;
- ▶ დამოკიდებულება/ურთიერთობა მოძალადესა და მსხვერპლს შორის;
- ▶ მსხვერპლის და მოძალადის ასაკი;
- ▶ გეოგრაფიული მდებარეობა;
- ▶ მსხვერპლთა რაოდენობა;
- ▶ ძალადობის ინციდენტის რაოდენობა;
- ▶ მოძალადეთა რაოდენობა;
- ▶ ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა სტატუსის შესახებ;
- ▶ ძალადობის განმეორებადობა.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ გენდერული სტატისტიკის შეგროვებას გააჩნია მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი საქართველოში, თუმცა, სამწუხაროდ გენდერულ საკითხებზე მომუშავე პროფესიონალებს და ასევე, მოსახლეობის დიდ ნაწილს, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. აღსანიშნავია, რომ გენდერული სტატისტიკის მნიშვნელობაზე მრავალ ქვეყანაში უკვე შედგა კონსენსუსი, შესაბამისად, დისკუსიას არ ექვემდებარება ის მოცემულობა, რომ სტატისტიკა უნდა გროვდებოდეს უნიფიცირებულად და გამჭირვალედ და იგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჯაროდ. თუმცა, ეს საკითხები ჯერ კიდევ დავის საგანია საქართველოში, რაც იმედი გვაქვს, შეიცვლება ამ საკითხით დაინტერესებული პირების რაოდენობის ზრდასთან ერთად.

ნაწილი II

7. გენდერული მონაცემების შეგროვება საერთაშორისო კონვენციებში

7.1 გენდერული მონაცემების შეგროვება გაერთიანებული ერების კონტექსტში

მსოფლიოში გენდერული სტატისტიკის შეგროვების უმნიშვნელოვანესი ინიციატივები გაეროს სისტემაში ხორციელდება. ამ კუთხით მუშაობენ გაეროს სპეციალური ინსტიტუტები:

- ▶ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC);
- ▶ გაეროს ევროპისთვის ეკონომიკური კომისია (UNECE);
- ▶ გაეროს სტატისტიკის განყოფილება (UNSD);
- ▶ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN);
- ▶ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO).

გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების ძირითადი ჩარჩო წარმოდგენილია გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციაში.¹⁶ კონვენციის ზედამხედველი კომიტეტი მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს, შეაგროვოს სტატისტიკა ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და დისკრიმინაციის შესახებ.

გაეროს პლატფორმაზე დაყრდნობით, 1995 წელს შემუშავდა პეკინის სამოქმედო პლატფორმა თანასწორობის, განვითარების და მშვიდობისათვის, რომელიც მიმართული იყო ქალთა და გოგონათა უფლებების დასაცავად. სხვა მიზნებთან ერთად, პლატფორმის მიზანს წარმოადგენს: მონაცემთა შეგროვება, სტატისტიკის წარმოება კონკრეტულად ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ და კვლევების მხარდაჭერა, რომლებიც გამოიკვლევენ ძალადობის მიზეზებს, ბუნებას, გავრცელების არეალს და შედეგებს.

დამატებით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის რამდენიმე რეზოლუცია. მათ შორის, 2011 წელს მიღებული რეზოლუცია ხელს უწყობს ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენციას და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეაგირებას. რეზოლუციას თან ახლავს სახელმძღვანელო პრინციპები „განახლებული სამოქმედო სტრატეგიები და პრაქტიკული ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით, დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისათვის“. სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს UN-ODC-ს მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპს მონაცემთა შეგროვების მიმართულებით.

7.2 გენდერული ძალადობის შესახებ გენდერული მონაცემების შეგროვების მნიშვნელობა ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ქვეყნებში

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია ის გამოცდილება, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ გენდერული მონაცემების შეგროვების მნიშვნელობის დასადასტურებლად.

1995 წელს ევროკომისიამ აღიარა ევროკავშირის მხარდაჭერა პეკინის პლატფორმის საფუძველზე შემუშავებული თანასწორობის, განვითარების და მშვიდობის სამოქმედო გეგმის მიმართ¹⁷. შედეგად, 1999 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის შემუშავდა პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმის

16. გაერთიანებული ერების კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 20

17. მიღებულია 1995 წელს, ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე.

განხორციელების მონიტორინგის თვისებრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები. ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში ეს ინდიკატორები მოიცავდა შემდეგ პუნქტებს¹⁸:

- ▶ ძალადობის მსხვერპლი ქალების პროფილი;
- ▶ მოძალადე კაცების პროფილი;
- ▶ მსხვერპლთა მხარდაჭერა;
- ▶ ღონისძიებები, რომელიც განხორციელდა მოძალადეების მხრიდან, ძალადობის შეწყვეტის მიზნით;
- ▶ პროფესიონალთა გადამზადება;
- ▶ სახელმწიფოს ღონისძიებები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად;
- ▶ შეფასება.

ამავე ინიციატივის ფარგლებში, ცალკე გამოიყო სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული გენდერული სტატისტიკის ინდიკატორები. მათ შორის:

- ▶ დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთაც გააკეთეს შეტყობინება სექსუალური შევიწროების შესახებ და მათი პროცენტული წილი დასაქმებულების საერთო რაოდენობაში.
- ▶ კერძო და საჯარო საწარმოების და ორგანიზაციის რაოდენობა, ვისაც შემუშავებული აქვთ სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ პრევენციული პოლიტიკა, დამსაქმებელთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.
- ▶ კერძო და საჯარო საწარმოების და ორგანიზაციის რაოდენობა, ვისაც შემუშავებული აქვთ სანქციები სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ, დამსაქმებელთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

2006 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა „საგზაო რუკა“ ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის მისაღწევად (2006-2010), სადაც მიუთითა, რომ თანასწორობის მისაღწევად აუცილებელი იყო გენდერული სტატისტიკის შეგროვება.

2006 წელს ევროპის პარლამენტმა შეიმუშავა რეზოლუცია¹⁹, რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის და ამ მიმართულებით სამომავლო ქმედებების დაგეგმვას. რეზოლუციის თანახმად, შეუძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის სრული მასშტაბის განსაზღვრა მონაცემების გარეშე. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად ევროპის პარლამენტმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- ▶ ეუროსტატთან, ფუნდამენტური უფლებების სააგენტოსთან და ევროპულ გენდერის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, შეიმუშავდეს ჰარმონიზებული და ერთიანი მეთოდოლოგია, ძალადობის ფორმების და მასთან დაკავშირებული ცნებების ერთიანი დეფინიცია და გაზომვის კრიტერიუმები, რომლითაც გაიზომება ქალთა მიმართ ძალადობა და შეგროვდება ჰარმონიზებული და ურთიერთშედარებადი მონაცემები.

18. Council of the European Union, Conclusions on the Review of the implementation of the Beijing Platform for Action by the Member States and the EU institutions of the Beijing Platform for Action, Doc.14578/02, 2002, Brussels, and Council of the European Union, Press release, 2470th Council meeting, Brussels, 2 and 3 December 2002. (Available at: http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/lsa/73454.pdf)

19. European Parliament, Resolution on the current situation in combating violence against women and any future action, P6_TA (2006)0038, 2006. ხელმისაწვდომია (02.02.2019) <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P6-TA-2006-0038+0+DOC+XML+V0//EN>

- ▶ წვერი სახელმწიფოების მიერ დაინიშნოს ეროვნული მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის შეგროვების და დამუშავების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს წვერ და კანდიდატ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას.
- ▶ შეიქმნას ერთიანი სისტემა, სადაც აღირიცხება ძალადობის ყველა შემთხვევა წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს წვერი ქვეყნების მართლმსაჯულების, პოლიციის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ორგანოების მიერ ერთიანი ბაზის შექმნა.

წელს ევროპის საბჭომ მიიღო ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის სახელმძღვანელო პრინციპები²⁰ ევროკავშირისთვის, რომელიც განსაზღვრავს ოთხ ოპერაციულ მიზანს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია მონაცემთა შეგროვება და ინდიკატორების შემუშავება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რომლისთვისაც ევროკავშირი შეიმუშავებს ინსტრუმენტებს და ხელს შეუწყობს მონაცემთა შეგროვებას ევროკავშირის ქვეყნებში.

2009 წელს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავდა სტოკჰოლმის პროგრამა - ღია და უსაფრთხო ევროპა მოქალაქეების მომსახურებისა და დაცვისათვის²¹, რომელმაც ხაზი გაუსვა ადევკატური, სანდო და ურთიერთშედარებადი მონაცემების შეგროვების მნიშვნელობას. აღნიშნული მონაცემებს შეგროვება განისაზღვრა აუცილებელ წინაპირობად, მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად ევროკავშირის ინსტიტუტებში.

2010 წელს ევროპის საბჭომ გამოსცა დასკვნითი რეკომენდაციები²² ევროკავშირში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით და მოუწოდა ევროკავშირის წვერ ქვეყნებს გაეცვალათ მონაცემთა შეგროვების საუკეთესო პრაქტიკები, დაარსებულიყო მონაცემთა შეგროვების ინსტიტუტი (European Observatory), ხოლო ფუნდამენტური უფლებების ევროპულ სააგენტოს მოუწოდა შეეგროვებინა და გამოექვეყნებინა სანდო და შედარებადი მონაცემები დისკრიმინაციის ყველა ფორმის, მათ შორის, გენდერული დისკრიმინაციის შესახებ.

2010 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავდა ქალთა და კაცთა თანასწორობის სტრატეგია²³ (2010-2015), რომელიც, ამავე დროს წარმოადგენს ევროკომისიის სამოქმედო გეგმას თანასწორობის მიმართულებით. აღნიშნული სტრატეგიის შეფასების მიზნით ევროპული ინსტიტუტები რეგულარულად აგროვებენ მონაცემებს ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე.

2011 წელს ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია²⁴, რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ახალი ჩარჩოს შემუშავებას. რეზოლუცია მოიცავდა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელო პრინციპებს ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის. ევროკავშირის წვერ ქვეყნებს რეზოლუცია ავალდებულებს სრულფასოვანი მონაცემების შეგროვებას და ძალადობის ფენომენის სტატისტიკის წარმოებას წვერ ქვეყნებში. ამავე წელს მიღებული პაქტით კი ევროსტატს დაევალა გენდერული სტატისტიკის შეგროვების გაფართოება.

20. European Commission (2008) Eu guidelines on violence against women and girls and combating all forms of discrimination against them. ხელმისაწვდომია (02.02.2019): https://ec.europa.eu/anti-trafficking/publications/eu-guidelines-violence-against-women-and-girls-and-combating-all-forms-discrimination_en

21. European Commission (2009). The Stockholm Programme – an open and secure Europe serving and protecting the citizens. ხელმისაწვდომია (02.02.2019): https://ec.europa.eu/anti-trafficking/eu-policy/stockholm-programme-open-and-secure-europe-serving-and-protecting-citizens-0_en

22. Council conclusions on the eradication of violence against women in the European Union – 3000th employments and social policy council meeting (2010). ხელმისაწვდომია (02.02.2019) <https://eige.europa.eu/ro/node/1925>

23. European Commission, strategy for equality between women and men 2010-15, drawn up on the basis of COM (2010) 491 final, Sec (2010) 1079 and Sec (2010) 1080.

24. European Parliament, Resolution on priorities and outline of a new EU policy framework to fight violence against women (P7_TA (2011)012), 5 April, 2011.

აღნიშნული რეზოლუციების საფუძველზე ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ შეიმუშავეს ევროპული სტატისტიკის ახალი რეზოლუცია²⁵ #223/2009, ეგრეთ წოდებული „სტატისტიკის კანონი“. ეს რეზოლუცია აწესებს ძირითად ჩარჩოს ევროპული სტატისტიკის სისტემის შესახებ და უზრუნველყოფს კოორდინაციას როგორც ევროპის ინსტიტუტებს, ისე წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შორის.

ევროპის საბჭოს პირველი მნიშვნელოვანი ინიციატივა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით შეიმუშავდა 2002 წელს სახელწოდებით ქალთა ძალადობისგან დაცვის რეკომენდაცი²⁶, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა მიიღო. ეს რეკომენდაცია აწესებს ნორმებს და პრინციპებს ძალადობისგან დაცვის ძირითადი ღონისძიებების და საკანონმდებლო ცვლილებების გასატარებლად. ასევე, მოუწოდებს წევრ ქვეყნებს შეიმუშაონ სერვისები და მიდგომები, რომელიც ცნობიერების ამაღლებასა და მოძალადებთან მუშაობაზე იქნება მიმართული. აღნიშნული რეკომენდაცია ხაზს უსვამს მონაცემთა შეგროვების მნიშვნელობასაც, ხოლო მისი მონიტორინგი ხორციელდებოდა რეგულარულად 2007, 2008, 2010, 2014 წლებში.

2012 წელს მოხდა ზემოთაღნიშნული ინდიკატორების რევიზია და გაჩნდა აუცილებლობა, მომხდარიყო დეფინიციების უნიფიცირება. ასევე, უნდა შეიმუშავებულიყო მონაცემების შეგროვების ერთიანი მეთოდოლოგია ყველა სააგენტოსთვის თუ უწყებისთვის, რომელიც მონაცემებს ქმნის.

სამომავლო გეგმებად განისაზღვრა მონაცემების დაყოფა სქესის და ასაკის მიხედვით, როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის შემთხვევაში და ასევე, ძალადობის სახის და მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული დამოკიდებულების დაზუსტება.

გენდერული თანასწორობის ევროპულმა ინსტიტუტმა 2014 წელს გამოაქვეყნა კვლევა²⁷, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის ქვეყნებში გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული კვლევის თანახმად, ადმინისტრაციული მონაცემები გენდერული ძალადობის შესახებ გროვდება ადმინისტრაციული უწყებების მიერ და მიზნად ისახავს ადმინისტრაციული პროცესების აღწერას. ამ მონაცემების შეგროვება არ ხორციელდება მათი გაანალიზების მიზნით და მათ ე.წ. „უმ მონაცემებს“ უწოდებენ.

ევროკავშირის დირექტივა 2012/29/EU²⁸ აწესებს სავალდებულო მინიმალურ სტანდარტს გენდერული ძალადობის მსხვერპლის უფლებების, მისაღები მომსახურებებისა და დაცვის სტანდარტისათვის. რეზოლუციის პრეამბულა (პარ. 64) მიუთითებს, რომ გენდერული ძალადობის დაძლევის სფეროში შეუძლებელია ეფექტური პოლიტიკის შეიმუშავება და განხორციელება გენდერული სტატისტიკის გარეშე. ამავე რეზოლუციის 28-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ევროკომისიას მიაწოდონ ინფორმაცია გენდერული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის შესახებ მათი იურისდიქციის ფარგლებში.

2014 წელს, გენდერული თანასწორობის ევროპულმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც შეეხებოდა ევროკავშირის 28 ქვეყანაში ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებას გენდერული ძალადობის შესახებ²⁹.

25. Regulation (EC) No 223/2009 of the European Parliament and of the Council of 11 March 2009 on European statistics and repealing Regulation (EC, Euratom) No 1101/2008 of the European Parliament and of the Council on the transmission of data subject to statistical confidentiality to the Statistical Office of the European Communities, Council Regulation (EC) No 322/97 on Community Statistics, and Council Decision 89/382/EEC. ხელმისაწვდომია (02.02.2019): <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32009R0223>

26. Council of Europe, Recommendation of the Committee of Ministers to Members States on the protection of women against violence, Rec (2002)5.

27. European Institute for Gender Equality (2014). Administrative data sources on gender-based violence against women in the EU. Current status and potential for the collection of comparable data. p.20. ხელმისაწვდომია (02.02.2019): <https://eige.europa.eu/rdc/eige-publications/administrative-data-sources-gender-based-violence-against-women-eu-report>

28. Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012, establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA. ხელმისაწვდომია (02.02.2019) <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:315:0057:0073:EN:PDF>

29. European Institute for Gender Equality (2014). Administrative data sources on gender-based violence against women in the EU.

პუბლიკაციის ავტორების მოსაზრებით, გენდერული მონაცემების შეგროვების აუცილებელი წინაპირობაა ფუნდამენტურ ცნებებზე შეთანხმება. ქვეყნის განვითარების თუ მიღწეული წარმატების მიუხედავად, ევროკავშირის ფარგლებში, ჯერ კიდევ გვხვდება ერთი და იმავე ცნების სხვადასხვა შინაარსით გამოყენება, რაც თავისთავად აზიანებს შედარების ხარისხს ინტერესს მონაცემებს შორის.

კვლევის თანახმად, ადმინისტრაციული გენდერული სტატისტიკა ევროკავშირის ქვეყნებში, როგორც წესი შემდეგი უწყებების მიერ გროვდება:

- ▶ პოლიცია (მაგ. მუნიციპალიტეტის, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე);
- ▶ მართლმსაჯულების ორგანოები (მაგ. სასამართლო, პროკურატურა, თავისუფლების შეზღუდვის ადგილები და სხვ.);
- ▶ ჯანდაცვა (მაგ. სამედიცინო ცენტრები და სამედიცინო სამსახურები და სხვ.);
- ▶ სოციალური სამსახურები;
- ▶ ძალადობისგან მსხვერპლთა დაცვის და მხარდაჭერის სამსახურები (მაგ. თავშესაფრები, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრები ა.შ.);
- ▶ სოციალური კეთილდღეობის განყოფილებები (მაგ. საცხოვრისის უზრუნველყოფის, დასაქმების და საპენსიო განყოფილებები და ა.შ.).

გენდერული სტატისტიკის შეგროვებაში ასევე მონაწილეობს ის დანარჩენი ინსტიტუტები, რომლებიც კავშირში არიან გენდერული ძალადობის საკითხებთან, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადმინისტრაციული უწყებები, ომბუდსმენის სამსახური და ა.შ.

რაც შეეხება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, გამოყენების და მასში გენდერული ასპექტის გათვალისწინების მნიშვნელობას, ასევე შეგვიძლია გავეცნოთ ცალკეული ქვეყნების პოზიტიური გამოცდილებას. მაგალითად, დანიაში, მონაცემები გროვდება როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის შესახებ. საქმეში მონაწილე პირების საიდენტიფიკაციო ნომერი, საშუალებას იძლევა მონაცემები შეგროვდეს სხვადასხვა რელევანტური რეესტრიდან. სხვადასხვა მონაცემთა ბაზების დაკავშირების შედეგად პოლიციას წვდომა აქვს ისეთ ინფორმაციაზე, როგორცაა მსხვერპლის თუ ბრალდებული მოძალადის სქესი, საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი, მუნიციპალიტეტი), სამოქალაქო სტატუსი (დაქორწინებული, თანაცხოვრებაში, განქორწინებული, მართლმადიდებელი), საოჯახო სტატუსი (ბავშვების და ოჯახის წევრების რაოდენობა), განათლება (განათლების მიღების წლების რაოდენობა), დასაქმება, სოციალური დახმარება, შემოსავალი, ეროვნება.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის მონაცემებზე დაყრდნობით და მისი ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, ხდება ქვეყნის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების რეგულარული შესწორება და მოდიფიკაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანიაში მონაცემთა შეგროვებაზე ვრცელდება პირადი ინფორმაციის დაცვის მკაცრი წესები, მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციული უწყების თანამშრომლებს უფლებამოსილების შესაბამისად და მკვლევარებს. სწორედ ამიტომ მოსახლეობა მონაცემთა რეგისტრაციის წინააღმდეგი არ არის.

საფრანგეთში 2013 წელს შეიქმნა ძალადობისგან ქალთა დაცვის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება, რომელიც დაექვემდებარა საფრანგეთის ქალთა უფლებების სამინისტროს. ცნობიერების ამაღლების ინიციატივების რეკომენდაციების განხორციელებისათვის, რომელიც სტამბოლის კონვენციის რეკომენდაციებს ემთხვევა, განყოფილებამ შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების საკითხზე.

ძალადობისგან ქალთა დაცვის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და იუსტიციის სამინისტროსთან იმისათვის, რათა შეაგროვოს მონაცემები და მათზე დაყრდნობით შექმნას ინდიკატორები. მონაცემები და ინდიკატორები ყოველწლიურად, 25 ნოემბერს, ქალთა ძალადობისგან დაცვის დღეს ქვეყნდება. აღსანიშნავია, რომ დასახელებული უწყება ასევე ამუშავებს არასამთავრობო სექტორში მოღვაწე ორგანიზაციების და კვლევითი კომპანიების შეგროვებულ მონაცემებს.

საფრანგეთის ქალთა დაცვის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებასთან არსებული სამუშაო ჯგუფი საკმაოდ წარმომადგენლობითია და ასე გამოიყურება:

- ქალთა უფლებების უზრუნველსაყოფად შექმნილი სერვისები;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის სერვისი;
- მსხვერპლთა წარმომადგენლობითი ორგანო;
- იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკის სამსახური;
- სტატისტიკის და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი;
- საფრანგეთის საზღვარგარეთ ორგანო დანაშაულის და სასჯელის შეფარდებაზე;
- დემოგრაფიული კვლევების საფრანგეთის ინსტიტუტი.

აღნიშნულ სამუშაო ჯგუფს ევალება კითხვარის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს რელევანტური მონაცემების შეგროვებას, მეთოდოლოგიის სტანდარტიზაციას და მონაცემთა გარდაქმნას ინდიკატორებად.

2006 წელს შვედეთის პარლამენტმა დასახა გენდერული თანასწორობის მიზნები, რომელიც დღემდე ძალაშია. აღნიშნული მიზნებია:

- ▶ კაცების მხრიდან გენდერული ძალადობის შეჩერება;
- ▶ ქალებს, კაცებს, გოგოებს და ბიჭებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების დაცვის თანაბარი შესაძლებლობა;
- ▶ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სქესთა შორის ძალაუფლების გადანაწილება და ეკონომიკური თანასწორობა;
- ▶ აუნაზღაურებელი შრომის და ზრუნვის საქმიანობის განაწილება ქალსა და მამაკაცს შორის.

დანაშაულის პრევენციის შვედეთის ეროვნული საბჭო ასევე აგროვებს მონაცემებს შვედეთში დანაშაულის სტატისტიკის შესახებ. მონაცემები გროვდება გაერთიანებულად შვედეთის პოლიციის, სასამართლო პოლიციის, პროკურატურის და ეკონომიკური დანაშაულების განყოფილებიდან, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ დანაშაულებებთან: გაუპატიურება, სქესობრივი იძულება, გარყვნილი ქმედება, ქალის უსაფრთხოების მძიმე დარღვევა, ადევნება.

დანაშაულის პრევენციის ეროვნულმა საბჭომ, შესაბამისი სტატისტიკის მოგროვებით, შეაფასა ქალთა მიმართ ძალადობის, ღირსების სახელით ძალადობის და შევიწროების, ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის ძალადობის აღმოფხვრის, ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ხორვატიის სოციალური პოლიტიკისა და ახალგაზრდობის სამინისტრო აგროვებს, ამუშავებს და ინახავს სტატისტიკურ მონაცემებს ოჯახში ძალადობის სფეროში მომუშავე სერვისის მიმწოდებლებისგან. ყველა უწყება თუ სერვისი, რომელიც ჩართულია ოჯახში ძალადობის შემთხვევის მართვის პროტოკოლში (პოლიცია, სასამართლო, სოციალური კეთილდღეობის ცენტრები, ჯანმრთელობის ცენტრები, საგანმანათლებლო ცენტრები) ვალდებულია შესაბამისი წესით მიაწოდოს სამინისტროს მონაცემები, წელი-

წადში ორჯერ. მონაცემების შეგროვების ძირითად მიზანს წარმოადგენს ინდიკატორების გაზომვა, ტენდენციების აღწერა და მსხვერპლთა სტატისტიკის გაზომვა. მონაცემები გროვდება „სავალდებულო სტატისტიკური მონაცემების შინაარსის, შეგროვების, დამუშავების და შენახვის წესის“ მიხედვით. სხვადასხვა კატეგორიის შორის, რომელთაც „სავალდებულო სტატისტიკური მონაცემების შინაარსის, შეგროვების, დამუშავების და შენახვის წესი“ ითვალისწინებს, მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენს:

- ▶ დამოკიდებულება ძალადობრივ აქტში ჩართული მოძალადეს და მსხვერპლს შორის;
- ▶ მოძალადის და მსხვერპლის სქესი და ასაკი;
- ▶ გატარებული ზომები;
- ▶ სასამართლო გადაწყვეტილება;
- ▶ მოძალადის მხრიდან რეციდივის შესახებ ინფორმაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხორვატიაში, სოციალური კეთილდღეობის ცენტრების მიერ შეგროვებული, საკმაოდ დეტალური მონაცემების დაკავშირება ხდება პოლიციის და სასამართლოების მიერ შეგროვებულ მონაცემებთან.

7.3 გენდერული ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების უპირატესობა და ნაკლოვანება

გენდერული ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია. მის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციული მონაცემები თავისთავად რეგულარულად გროვდება და მასში გენდერის განზომილების ინტეგრირება, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში რეალისტური და შესაძლებელია. მისი სუსტ მხარე კი ისაა, რომ ადმინისტრაციული მონაცემები გენდერული ძალადობის შესახებ არასდროს წარმოაჩენს ქალთა მიმართ ძალადობის რეალურ სურათს, ვინაიდან ძალიან ბევრი ქალი თავს იკავებს ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენებისა და დახმარების მიღების მიზნით სახელმწიფოსთვის მიმართვისგან.

ადმინისტრაციულმა მონაცემებმა გენდერული ძალადობის შესახებ უნდა უპასუხოს სამ ძირითად კითხვას³⁰:

- ▶ რამდენმა ქალმა მიმართა სახელმწიფოს და შესაბამის სერვისებს დახმარებისთვის?
- ▶ რა სახის დახმარება მიიღეს ქალებმა რეალურად და რა სახის დახმარებას უნდა სთავაზობდეს მათ თეორიულად სახელმწიფო?
- ▶ რამდენად ეფექტიანი და ხარჯთაღმწიფოა სერვისები ქალების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა ადმინისტრაციული მონაცემები იკრიბებოდეს არა მხოლოდ სახელმწიფო სერვისების, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობის მსხვერპლს აწვდის გარკვეულ სერვისს, საჭიროა მან შეაგროვოს დეტალური და უნიფიცირებული სტატისტიკა, რომელიც საერთო ჯამში მიუთითებს იმაზე, თუ რამდენმა ქალმა მიიღო მისთვის საჭირო დახმარება (სახელმწიფოს მიერ მოწოდებული სერვისების გათვალისწინებით), რაც როგორც არასამთავრობო სექტორის, ისე სახელმწიფო უწყებების და ზოგადად, საზოგადოების საჯარო ინტერესს წარმოადგენს.

30. Council of Europe (2008). Administrative data collection on domestic violence in Council of Europe member states. ხელმისაწვდომია (02.02.2019). [https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-DC\(2008\)Study_en.pdf](https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-DC(2008)Study_en.pdf)

ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი სირთულეს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც მოვლენის კომპლექსურობა. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ფორმების მიხედვით მისი კლასიფიკაცია სამართალდამცველებს ევალებათ, ხშირად დანაშაულზე რეაგირების ადრეულ ეტაპზე, სხვადასხვა გარემოებების გამო, მათ არ ეძლევათ საშუალება სრულად ჩაწვდნენ დანაშაულის ფორმას, მოტივს და შინაარსს. დღესდღეობით ქალებს უმეტესად არ გააჩნიათ ნდობა სახელმწიფო უწყებების მიმართ და არ აქვთ მზაობა, მიიღონ სხვადასხვა სახის მხარდაჭერა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მყისიერი რეაგირების განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირმა, პირველივე საათებში ვერ მოახერხოს ძალადობის ინციდენტის სიღრმისეული გამოკვლევა. ამ სირთულის გადასალახად, მნიშვნელოვანია, ერთმანეთთან ითანამშრომლონ სამართალდამცავმა უწყებებმა და სოციალური, სამედიცინო თუ სხვა სერვისების მომწოდებელმა დაწესებულებებმა, რათა ადმინისტრაციული მონაცემები შეივსოს და შემდგომ უკვე განახლდეს, მსხვერპლის თანხმობით და მონაწილეობით, ძალადობაზე რეაგირების სხვადასხვა ეტაპზე.

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების რეკომენდაციით, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მინიმალური ადმინისტრაციული მონაცემი, რომელიც გროვდება ადმინისტრაციული ორგანოების და არასამთავრობო სექტორის მიერ, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

7.4 გენდერული ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების მინიმალური სტანდარტი³¹

დღევანდელ მოცემულობაში, ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი პრობლემა უწყებათა შორის არასაკმარისი კოორდინაციაა. უწყებები ხშირად ვერ თანხმდებიან ძალადობის დეფინიციებზე, კატეგორიებზე და სხვადასხვა, არაშედარებად მონაცემებს აგროვებენ. ამ პრობლემის თავიდან ასარიდებლად ევროპის საბჭოს რეკომენდაციაა, შეიქმნას ან დაევალოს ქალთა მიმართ ძალადობასა და გენდერულ ძალადობაზე ადმინისტრაციულ მონაცემთა შეგროვების კოორდინაცია სპეციალურ ორგანოს, მაგ. სტატისტიკის ეროვნულ ბიუროს.

ადმინისტრაციული მონაცემები მნიშვნელოვანია შეგროვდეს უწყებების ქვედა დონეზე ანუ იმ მოხელეების მიერ, ვისაც უშუალოდ უწევთ შეხება გენდერული ძალადობის მსხვერპლებთან თუ მოძალადეებთან. ასეთ მოხელეები არიან პოლიციელები, ექიმები და სხვა. რაც შეეხება უწყების ზედა მმართველობით დონეს, მათი ფუნქციაა უზრუნველყონ მონაცემების ხარისხიანი, სრულყოფილი და რეგულარული შეგროვება და დამუშავება. ამას გარდა, ისინი ახორციელებენ შეგროვების პროცესის მონიტორინგს. ანალოგიური მიდგომა ვრცელდება კერძო სექტორშიც, მაგალითად, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც გენდერული ძალადობის მსხვერპლებს აწვდიან რაიმე მომსახურებას.

31. Council of Europe (2008). Administrative data collection on domestic violence in Council of Europe member states. ხელმისაწვდომია (02.02.2019). [https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-DC\(2008\)Study_en.pdf](https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-DC(2008)Study_en.pdf)

უნწყება	მონაცემი
პოლიცია	<ul style="list-style-type: none"> • ოჯახში ძალადობის საქმეების გამოყოფა სხვა საქმეებისგან; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის ასაკი; • დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; • ძალადობის ფორმა (კოდების შესაბამისად); • საქმეების სტატუსი: გამოძიების დაწყება, დაკავება, დევნის დაწყება ა.შ.
პროკურატურა	<ul style="list-style-type: none"> • ოჯახში ძალადობის საქმეების გამოყოფა სხვა საქმეებისგან; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის ასაკი; • დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; • ძალადობის ფორმა (კოდების შესაბამისად); • საქმეების სტატუსი: გამოძიების დაწყება, დაკავება, დევნის დაწყება ა.შ.
პირველი ინსტანციის სასამართლო (როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებით)	<ul style="list-style-type: none"> • ოჯახში ძალადობის საქმეების გამოყოფა სხვა საქმეებისგან; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის ასაკი; • დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; • ძალადობის ფორმა (კოდების შესაბამისად); • საქმეების სტატუსი: გამოძიების დაწყება, დაკავება, დევნის დაწყება ა.შ.
სიკვდილის მიზეზების შესახებ გამოძიება	<ul style="list-style-type: none"> • ოჯახში ძალადობის საქმეების გამოყოფა სხვა საქმეებისგან; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის ასაკი; • დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; • ძალადობის ფორმა (მაგ. ICD 10-ს მიხედვით).
ჯანმრთელობის დაცვის სერვისები	<ul style="list-style-type: none"> • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის ასაკი; • დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; • ძალადობის ფორმა (მაგ. ICD 10-ს მიხედვით).
სოციალური სერვისები	<ul style="list-style-type: none"> • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის სქესი; • ძალადობის მსხვერპლის და მოძალადის ასაკი; • დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; • ძალადობის ფორმა.

7.5 მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვის ეტაპები

გენდერული ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვების პირველადი სისტემის დანერგვის პროცესში, საჭირო და მნიშვნელოვანია, შემდეგი საფეხურების ეტაპობრივად გავლა:

- ▶ ყველა იმ უწყების თუ არასამთავრობო ორგანიზაციის იდენტიფიცირება და დახარისხება, რომელიც გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მუშაობს;
- ▶ შეფასდეს, თუ საწყის ეტაპზე რა მონაცემების შეგროვება ხდება მათ მიერ;
- ▶ დაზუსტდეს, რა მეთოდოლოგიით გროვდება მონაცემები;
- ▶ დაზუსტდეს, რომელი ცვლადების გასაზომად გამოდგება მონაცემები;
- ▶ განისაზღვროს, რამდენად სისტემატიურია შეგროვების პროცესი;
- ▶ რამდენად შეთანხმებულია და ყველა უწყება იყენებს ერთსადაიმავე დეფინიციებს ტერმინებისთვის;
- ▶ რამდენად მომზადებულია ის ხალხი, ვინც აგროვებს მონაცემებს;
- ▶ რამდენად აქვთ მათ სახელმძღვანელო პრინციპები მონაცემების სწორად შევსების თაობაზე.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ გენდერული სტატისტიკის შეგროვება რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია. არსებობს რისკი, რომ გენდერული სტატისტიკა სხვადასხვანაირად იყოს გაგებული სხვადასხვა უწყების მიერ, რაც შეუძლებელს გახდის ამ სტატისტიკის ეფექტურ შეგროვებას. ასევე, გენდერული სტატისტიკის შეგროვებისას ხშირად იქმნება კოორდინაციის სისუსტის საფრთხე უწყებებს, კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის. თუმცა, ყველა რისკს შედარებით აზღვევს და ამცირებს გენდერული სტატისტიკის მიზნობრიობა და კავშირი ქალთა არსებითი თანასწორობის ცნებასთან. საკმარისია საფრთხეების წარმოშობის დროს ხელახლა გავიაზროთ უთანასწორობის რომელი ფორმის მოგვარებას ვაპირებთ და როგორია ამ უთანასწორობის გამოვლინებები, მაშინვე აღდგება სხვადასხვა უწყებას შორის თანამშრომლობის ლოგიკური ჯაჭვი გენდერული სტატისტიკის მოსაპოვებლად. იმედი გვაქვს, რომ მომავალში, გენდერული სტატისტიკა, ჩვენს ქვეყანაშიც კარგად გააზრებული პროცესი იქნება და მისი შეგროვება არ გადაიქცევა ისეთ რუტინად, რომლის შედეგიც და გამოყენება არავის აინტერესებს. გენდერული სტატისტიკის შეგროვების მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებები, არამედ ის, რომ გენდერული სტატისტიკა საუკეთესო საშუალებაა გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის გასაუმჯობესებლად.

ნაწილი III

8. გენდერული მონაცემების შეგროვება საქართველოში

წინამდებარე თავი ეთმობა საქართველოში გენდერული ძალადობის და გენდერული თანასწორობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების და გამოქვეყნების პრაქტიკას.

აღნიშნულ თავში აღწერილია არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ერთწლიანი მუშაობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, გენდერული მონაცემების შეგროვების გასაუმჯობესებლად. პუბლიკაციაში გაერთიანებულია ის მონაცემები, რომელსაც ორგანოები აგროვებენ პროაქტიულად და აგრეთვე, ნაწილი იმ მონაცემებისა, რომელთა მოპოვებაც მოხდა ორგანიზაციის სამართლებრივი ბრძოლის შედეგად.

8.1 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების ეროვნული კანონმდებლობა და საქსტატის როლი

გარდა საერთაშორისო სტანდარტისა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ქვეყნებს გენდერული მონაცემების შეგროვებას ავალდებულებს, საქართველოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ეროვნული კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული აღნიშნული ვალდებულება.

„გენდერული ძალადობის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ადგენს, რომ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემები.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა უწყებას, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების პროცესში ავალდებულებს:

კანონის მე-6 მუხლის მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, სხვა ღონისძიებებთან ერთად ასევე გულისხმობს შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას (პუნქტი 3 (გ)).

კანონის მე-10 მუხლის მე-37 პუნქტის ა.ბ) ქვეპუნქტის თანახმად, შემაკავებელი ორდერი გამოცემის შემდეგ ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს შესაბამისი ინფორმაციის სათანადო მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის მიზნით და სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების და სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლის რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების შესახებ. აგრეთვე, მოძალადის თაობაზე სხვა მონაცემების შესახებ.

კანონის 21-ე მუხლი აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მოძალადეთა მიმართ გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების, აგრეთვე სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პოლიციელის მიერ მოძალადისთვის იარაღის ჩამორთმევის თაობაზე მონაცემთა ბაზის შექმნა, აღნიშნული ინფორმაციის დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისთვის დროულად მიწოდება და ხელმისაწვდომობა (მე-6 პუნქტი).

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ მიუთითებს, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ქვეყანაში უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოება. ეს კანონი განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის არსს, მიზანსა და პრინციპებს, ადგენს სტატისტიკის წარმოებისა და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების წესს.

ამავე კანონის მე-4 მუხლი განმარტავს ობიექტური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს და მიუთითებს, რომ სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ▶ მნიშვნელობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- ▶ პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა;
- ▶ ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- ▶ სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება;
- ▶ კონფიდენციალურობა;
- ▶ საკანონმდებლო ბაზის საჭაროობა;
- ▶ ეროვნული კოორდინაცია;
- ▶ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება;
- ▶ საერთაშორისო თანამშრომლობა.

ამავე კანონის თანახმად, საქსტატი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოების და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. სხვა მნიშვნელოვან მონაცემებთან ერთად, საქსტატი ადმინისტრაციული ორგანოებისგან იღებს და ამუშავებს მონაცემებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთი საქმიანობის, მიზნების, ამოცანების და მოვალეობების გათვალისწინებით აწარმოებენ ოფიციალურ სტატისტიკას, საბჭოს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო ანალოგიების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე.

2011 წლიდან საქსტატი აწარმოებს სპეციალურ პუბლიკაციას „ქალი და მამაკაცი“, რომელიც მოიცავს გენდერულ სტატისტიკას შემდეგი საკითხების შესახებ:

- ▶ მოსახლეობა;
- ▶ ჯანმრთელობის დაცვა;
- ▶ განათლება;
- ▶ სოციალური უზრუნველყოფა;
- ▶ შინამეურნეობები;
- ▶ დასაქმება და უმუშევრობა;
- ▶ შემოსავლები და ხარჯები;

- ▶ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ▶ ბიზნეს სექტორი;
- ▶ სამართალდარღვევები;
- ▶ ხელისუფლება.

საქსტატის პუბლიკაციის ერთ-ერთი ქვეთავი „სამართალდარღვევები“ მოიცავს გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებს, შემდეგი საკითხების თაობაზე:

- ▶ მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით;
- ▶ მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით;
- ▶ პატიმართა რაოდენობა;
- ▶ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა რაიმე სახის შელავათი;
- ▶ დაზარალებულთ პირთა სტატისტიკური მონაცემები;
- ▶ მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ;
- ▶ ოჯახში ძალადობის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსების სტატისტიკა;
- ▶ შემაკავებელი ორდერების რაოდენობა;
- ▶ ქალების წილი რომელთაც განუცდიათ ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა;
- ▶ ქალების წილი, რომლებსაც განუცდიათ ძალადობა არა პარტნიორების მხრიდან (ბავშვობაში განცდილი ძალადობის ჩათვლით);
- ▶ ადევნების გავრცელება 15 წლის და უფროსი ასაკის ქალებში;
- ▶ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გავრცელება პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ასაკის მიხედვით;
- ▶ 15-64 წლის ქალების მიერ ფიზიკური ძალადობის ფორმები პარტნიორის/მეუღლის მხრიდან;
- ▶ ნაადრევი ქორწინება ან პარტნიორული ურთიერთობები;
- ▶ ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქსტატმა შექმნა „გენდერული სტატისტიკის“ ვებგვერდი, სადაც ზემოთ მოცემული გენდერული მონაცემები განლაგებულია ვირტუალურ სივრცეში³².

აღნიშნული ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ საქსტატს აქვს რეალური შესაძლებლობა ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიიღოს და დამუშავების შედეგად წარმოადგინოს შეჭვრებული და დეტალური სტატისტიკა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. ამისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პირველადი გენდერული მონაცემების შეგროვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

32. <http://geostat.ge/gender/index.php?lang=ka>

8.2 გენდერული სტატისტიკის წარმოება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ

საკანონმდებლო რეგულაცია

2017 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით³³ შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. კომისიის დებულების თანახმად³⁴, კომისიის ძირითად ამოცანებს შორისაა, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ კომისიას არ გააჩნია ვებგვერდი, შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული სტატისტიკის მოძიება.

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, კომისიას მიმართა კითხვით, ოფიციალური წერილის სახით, თუ რა ტიპის გენდერულ სტატისტიკას აწარმოებდა³⁵, თუმცა კომისიას აღნიშნულ კითხვაზე პასუხი კვლევის მიმდინარეობისას არ მოუწოდებია.

საუწყებათაშორისო საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზი

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოდან გამოითხოვა ინფორმაცია³⁶ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათი საქმიანობის გარკვეული ასპექტების შესახებ. კერძოდ, ძალადობის მსხვერპლების მიერ სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფისთვის მიმართვა, მათ შორის ბავშვების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და შშმ ქალების დაცვის მიზნით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად³⁷, მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს 2015-2018 წლებში სტატუსის მინიჭების თხოვნით მიმართა 150 ქალმა, მათგან სტატუსი მიენიჭა 123 ქალს. 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის ბოლომდე მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს ოჯახში ძალადობის ან/და გენდერული ნიშნით ძალადობის მოწმე ბავშვისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში და მათ ეთქვათ უარი. 2015-2018 წლებში მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს მსხვერპლის სტატუსის მისაღებად მიმართა რვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალმა და ექვს მათგანს მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი. რაც შეეხება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართვას, მსგავსი ჩანაწერი არ ფიქსირდება, რადგან სავარაუდო მსხვერპლის მიერ შესავსებად განკუთვნილი საიდენტიფიკაციო კითხვარში ეთნიკური წარმომავლობის მინიშნების ველი არ არსებობს.


33. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 მაისის #286 დადგენილება, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ.

34. იგივე, მუხლი 4, პუნქტი „ე“

35. PHR-ის წერილი გ-01/1074-19

36. PHR-ის წერილი გ-01/958-18

37. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი GOV 118 00044828



გარდა აღნიშნული სტატისტიკისა, კომისიამ, კვლევის ფარგლებში ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ასევე მიაწოდა ინფორმაცია მსხვერპლის სტატუსის მინიჭებისა და ძალადობის ფორმების შესახებ, რაიონების მიხედვით.

აღნიშნულ სტატისტიკას რამდენიმე ნაკლი აქვს:

გეოგრაფიული რაიონები არ არის ერთი სტილით დიფერენცირებული: გვხვდება როგორც დაბა, ისე თვითმმართველი ქალაქები და სამხარეო დაყოფა. ამასთანავე, პრობლემურია ძალადობის დეფინიციის საკითხიც: რიგ შემთხვევაში გამოყენებულია სპეციალური კანონის დეფინიციები (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური), სხვა შემთხვევაში კი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დეფინიციები, მაგ. შანტაჟი. რიგ შემთხვევაში ფიზიკურ ძალადობას შთანთქმული აქვს ფსიქოლოგიური ძალადობა, ზოგჯერ კი ფსიქოლოგიური ძალადობა ცალკე გვხვდება.

ასევე, დიფერენცირებული არ არის სტატისტიკაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლების რაიონული მიკუთვნებულობა, ისევე, როგორც არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა ტიპის შეზღუდულ შესაძლებლობასთან გვაქვს საქმე.

სტატისტიკა არ გამოყოფს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა მიმართ ძალადობას ცალკე, როგორც სპეციფიური მონაცვლადი ჯგუფის პრობლემას.

რეკომენდაციები

- ▶ რეკომენდებულია, კომისიამ შეიმუშაოს ერთიანი სტანდარტი გენდერულად დიფერენცირებული სტატისტიკის შესაგროვებლად, როგორც გარე წყაროებიდან, ისე საკუთარი საქმიანობის შესახებ.
- ▶ რეკომენდებულია, კომისიის მხრიდან მონაცემების გენდერული დიფერენციაცია მოხდეს მინიმუმ იმ ამოცანების მიხედვით, რასაც დებულების მიხედვით ახორციელებს კომისია (კომისიის შიგნით შექმნილი მონაცემები), ვინაიდან მსგავსი მონაცემების გარეშე მუშაობის შედეგების გაზომვა შეუძლებელია. თუმცა, საუკეთესო შემთხვევაში, კომისიამ ასევე გენდერული სტატისტიკა უნდა შეაგროვოს იმ უწყებების მუშაობაზე, რომელთა საქმიანობის კოორდინაცია ხდება კომისიის საშუალებით (კომისიის გარეთ შექმნილი მონაცემები). შესაბამისად, სასურველია კომისიამ შეაგროვოს გენდერულად დიფერენცირებული მონაცემები, დებულებით გათვალისწინებული ამოცანებიდან გამომდინარე, რომელიც ეხება (ა) ქალთა თანასწორობის საკითხებს, (ბ) ქალთა ძალადობისგან დაცვის საკითხებს, (გ) ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ გაეროს რეზოლუციების აღსრულების საკითხებს და (დ) აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის საკითხების მენისტრიმინგს, კერძოდ:
 - გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების პროგრესზე (კომისიის ამოცანა „ა“, „ბ“, „დ“, „ვ“, „ზ“). მაგ. ქალების რაოდენობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში, სამხედრო დანაყოფებში და ა.შ..
 - სტატისტიკა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების შესახებ (კომისიის ამოცანა „კ“).
 - გენდერული სტატისტიკა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციით გათვალისწინებული პრევენციის და დაცვის ღონისძიებებზე (უფლებამოსილება და ვალდებულებები „დ“).
- ▶ რეკომენდებულია, კომისიამ შექმნას ვებგვერდი, სადაც პროაქტიულად მოახდენს გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების გამოქვეყნებას³⁸.

38. პროექტის მიმდინარეობის ეტაპზე კომისიამ დაიწყო ვებგვერდის შექმნა, რომელიც დასრულების ეტაპზეა.

8.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე პროაქტიულად ხდება შემდეგი სახის გენდერული მონაცემების განთავსება:

2013 წლიდან არსებული სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ოჯახში მომხდარი დანაშაულისთვის, რომელზეც პასუხისმგებლობა განისაზღვრა შემდეგი მუხლების მიხედვით: 11¹-108, 11¹-109, 11¹-117, 11¹-118, 11¹-126¹. ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები დახარისხებულია რეგიონების მიხედვით. აგრეთვე, აღნიშნულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

ამავე ვებგვერდზე განთავსებულია დანაშაულის ზოგადი სტატისტიკა, სადაც არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტი. მაგალითად, როდესაც ვეცნობით სსსკ 108 მუხლით დაკვალიფიცირებული განზრახ მკვლელობების სტატისტიკას, არ არის მითითებული, რამდენ შემთხვევაში იყო მსხვერპლი ქალი, იყო თუ არა გენდერული მოტივი და ა.შ. ანალოგიურად, გენდერული ასპექტი აკლია სხვა ტიპის დანაშაულის შესახებ მონაცემებს.

ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი არ იძლეოდა სრულფასოვან გენდერულ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ დამატებით გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გენდერული სტატისტიკა³⁹.

შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა ოჯახში ძალადობის და გენდერული ძალადობის დროს

როგორც ოჯახში ძალადობა, ისე გენდერული ძალადობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით მსხვერპლის მიერ მტკიცებულებების შეგროვებისა და უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებს მაღალი მგრძობელობა ჰქონდეთ ორივე ტიპის დარღვევაზე და იმ რისკებზე, რომელიც ქალებს ემუქრებათ, როგორც ოჯახის შიგნით, ისე გარეთ მომხდარ გენდერულ ძალადობაზე. ამ საკითხის გასაანალიზებლად ორგანიზაციამ გამოითხოვა სტატისტიკა⁴⁰ ბოლო 5 წლის მანძილზე, პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის თაობაზე, რომელიც ეხებოდა (ა) გენდერული ნიშნით ძალადობას და (ბ) ოჯახში ძალადობის შემთხვევებს, რეგიონების, მოძალადის და მსხვერპლის სქესისა და წლების მიხედვით.

2018 წლის 10 დეკემბრის შსს-ს⁴¹ საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მოთხოვნილი ინფორმაცია არ მუშავდება გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მონაცემების დამუშავება, მონაცემთა დიდი მასივის გამო, საჭიროებს შესაბამის ადამიანურ რესურსს. შსს-ს მიერ, წერილობითი სახით, გაიცა შეპირება ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების შესახებ.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გადასცა⁴² მხოლოდ ის მონაცემები, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას 2014-2018 (იანვარი-ნოემბერი) წლებში ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შესახებ წლების, რეგიონებისა და მოძალადისა და მსხვერპლის სქესის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების დროს გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია კვლევის ფარგლებში არ მოგვანოდეს.

39. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი # გ-01/948-18, 26.11.2018


40. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი # გ-01/959-18, 04.12.2018

41. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 918 02976704, 10.12. 2018

42. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 218 03153079

მონოდებული სტატისტიკის მიხედვით:

2014-2018 წლებში ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეგიონების მიხედვით შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა ასე გამოიყურება:



აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით რეგიონებში შემაკავებელი ორდერების გამოცემის დინამიკა სხვადასხვა ზრდით ხასიათდება. მაგალითად 2014-დან 2018 წლამდე თანაბარი ზრდა ფიქსირდება აჭარის რეგიონში:

2014 წელს - 20, 2015 წელს -232, 2016 წელს - 337, 2017 წელს - 497, 2018 წელს -851.

რასაც ვერ ვიტყვით გურიის რეგიონზე:

2014 წელს - 8, 2015 წელს -59, 2016 წელს - 54, 2017 წელს - 51, 2018 წელს -53.

აღნიშნული დინამიკა საჭიროებს დამატებით ანალიზს იმის თაობაზე, თუ რა ფაქტორები იწვევს ამა თუ იმ რეგიონში შემაკავებელი ორდერების გამოცემის სტატისტიკის ცვლილებას. ამგვარი ანალიზი შესაძლებელია საფუძვლად დაედოს შსს-ს მიერ სხვადასხვა რეგიონში ცნობიერების ამაღლების კამპანიის განსხვავებული ინტენსიობით და ხასიათით ჩატარების ინიციატივას.

სტატისტიკა ავლენს საჭიროებას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააანალიზოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შემაკავებელი ორდერების გამოცემის ზრდის განსხვავებული დინამიკის განმაპირობებელი ფაქტორები.

შემაკავებელი ორდერების დარღვევის სტატისტიკა, განმეორებით გამოცემა და ძალადობის მოწმე ბავშვის ფაქტორი

გენდერული ძალადობის მსხვერპლების უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის გასაზომად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, საშუალოდ რამდენჯერ ირღვევა შემაკავებელი ორდერი მოძალადეების მიერ, რამდენად იზრდება ან მცირდება ორდერების დარღვევის დინამიკა, რამდენად ეფექტურია ასეთ დროს პოლიცია, რამდენად სწრაფად რეაგირებენ და უზრუნველყოფენ მსხვერპლის უსაფრთხოებას სამართალდამცველები. ამგვარი ცვლადი ასევე იძლევა ორდერების მონიტორინგის საშუალებასაც. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომელიც ეხება სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად ძალადობის მოწმე ბავშვისთვის ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას, რაც პირდაპირ კავშირშია როგორც ბავშვის, ისე დედის უსაფრთხოების დაცვასთან.

დასახელებული საკითხების შესასწავლად, 2018 წლის თებერვალში, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია⁴³: ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების გამოცემის და დარღვევის, განმეორებითი გამოცემის და ძალადობის მოწმე ბავშვის დაცვის ღონისძიებების შესახებ.

2018 წლის მარტში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შეატყობინა⁴⁴, რომ სამინისტრო მოთხოვნილი სტატისტიკიდან მხოლოდ ნაწილს აწარმოებდა და მოაწოდა ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, სადაც დაფიქსირდა მსხვერპლად ქალი. ასევე, სტატისტიკა შემაკავებელი და დამცავი ორდერების დარღვევის შესახებ 2013-2017 წლებში.

აღნიშნული სტატისტიკის თანახმად, 2013-2017 წლებში მსხვერპლი ქალების მიმართ გამოიცა 1891 შემაკავებელი ორდერი.

სტატისტიკა საჭიროებს იმის დაზუსტებას იმის თუ, რამდენჯერ გამოიცა ორდერი ერთსა და იმავე მსხვერპლის მიმართ. აღნიშნული ანალიზი მოგვცემდა ინფორმაციას მსხვერპლის მიმართ ძალადობისგან დამცავი მექანიზმების ეფექტურობის თაობაზე. საჭიროა დადგინდეს ის ფაქტორები, რომელიც პირველივე ორდერის შემდეგ ზრდის მსხვერპლის უსაფრთხოებას.

ადმინისტრაციული საჩივარი შსს-ს წინააღმდეგ #1

ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონოდებული ადმინისტრაციული სტატისტიკა იყო არასრული, კვლევის ფარგლებში, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს⁴⁵.

ადმინისტრაციული საჩივარი შსს-მ ადმინისტრაციულ წარმომებაში მიიღო⁴⁶, ხოლო მისი საჩივრის ზეპირი განხილვა 2018 წლის 10 აპრილს მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული საჩივარი შემდეგი საფუძვლით (ამონაწერი ადმინისტრაციული განხილვის ოქმიდან)⁴⁷: შსს-ს ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, არ არსებობს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები. 2018 წლის 6 მარტის #530433 წერილით ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ დამატებით მიენოდა ის ინფორმაცია, რასაც ამუშავებს საქართველოს შინაგან საქმეთა

43. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი #გ-01/650-18, 22.02.2018

44. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 218 00530433, 06.03.2018

45. შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი წერილი # გ-01/675-18, 14.03.2018

46. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 618 0001/129, 21.03.2018

47. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 418 00941079, 23.04.2018

სამინისტრო. კერძოდ, ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას, სადაც მსხვერპლად განსაზღვრული იყო ქალი, რამდენ შემთხვევაში დადგინდა შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი, მაგრამ ეს დარღვევები არ არის დაჯგუფებული რეგიონების და ძალადობის ფორმების მიხედვით.

აღნიშნულმა ადმინისტრაციულმა სარჩელმა გამოავლინა ხარვეზი, რომელიც მდგომარეობს შემაკავებელი ორდერების შესახებ ინფორმაციის ნაკლოვანებებში, რაც შსს-ს არ აძლევს საშუალებას ერთიან ელექტრონულ ბაზაში მოხდეს მსხვერპლი ქალის და მსხვერპლი ბავშვის ინფორმაციის ერთობლივი დაფიქსირება და შემდგომ ამ ინფორმაციის ერთიანობაში გაანალიზება. ასევე, შემაკავებელი ორდერების დარღვევების და ხელახალი გამოცემის აღრიცხვის საშუალებით, მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრა.


გენდერულ დანაშაულზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებული სტატისტიკა

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა სტატისტიკა⁴⁸ ბოლო 5 წლის მანძილზე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახში ან გენდერული ნიშნით ქალის მიმართ მომხდარ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, რეგიონების, წლებისა და სქესის მიხედვით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიანოდა ინფორმაცია⁴⁹, რომელიც შეეხება ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ დაწყებული გამოძიების მაჩვენებლებს. საგულისხმოა სტატისტიკა, რომელიც ეხება ქალთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების მონაცემებს წლების მიხედვით, ოჯახში ძალადობის კონტექსტში:

48. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი # გ-01/959-18, 04.12.2018
49. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 218 03153079

შსს-ს სტატისტიკა: გამოძიება დანაშაულებზე ქალთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ



აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ქალთა სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გაზრდილი გამოვლენა და გამოძიების დაწყება, ეს ტენდენცია არ ვრცელდება იმავე დანაშაულებზე ოჯახის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის დანაშაულების დროსაც, ქალები ჯერ კიდევ მალავენ მოძალადის მხრიდან სქესობრივ დანაშაულებს. მნიშვნელოვანია შსს-მ დამატებით გამოიკვლიოს, რით არის განპირობებული ეს სხვაობა და რამდენად არის იგი კავშირში გამოძიების მეთოდებთან, მტკიცებულებების შეგროვების სირთულესთან და ქალების მიერ პოლიციის მიმართ ნდობის არსებობასთან.

შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა

კვლევის ფარგლებში, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გამოითხოვა სტატისტიკა⁵⁰ ბოლო ხუთი წლის მანძილზე შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახში ან გენდერული ნიშნით, ქალის მიმართ მომხდარ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, რეგიონების, წლებისა და სქესის მიხედვით.

შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, ოჯახში ან გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებული მაჩვენებლის შესახებ, ინფორმაცია მოგვეწოდა⁵¹ მხოლოდ ნაწილობრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 138-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, რომელიც მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას:

პერიოდი	ოჯახში ძალადობა	გაუპატიურება	სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება
2018 (იანვარი-ნოემბერი)	3	1	1
2017	0	3	0
2016	0	0	0
2015	0	0	0
2014	0	0	0

სტატისტიკის თანახმად, საერთაშორისო გამოცდილებით, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები მინიმუმ ორჯერ უფრო ხშირად ხდებიან გენდერული ძალადობის მსხვერპლები, თუმცა საქართველოში, ამგვარ დანაშაულზე ფაქტობრივად გამოძიება არ იწყება. სტატისტიკა კითხვებს აჩენს, რამდენად ეფექტურია სამართალდამცავთა მუშაობა ამ მიმართულებით და რამდენად აქვთ შესაძლებლობა შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს, ისარგებლონ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის დროს.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ასევე, გამოითხოვა სტატისტიკა⁵² ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, ოჯახში ან გენდერული ნიშნით ქალის მიმართ მომხდარ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, რეგიონების, წლებისა და სქესის მიხედვით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია⁵³ არ შეიცავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ოჯახში ან გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციას.

50. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი # გ-01/959-18, 04.12.2018
 51. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 218 03153079
 52. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი # გ-01/959-18, 04.12.2018
 53. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 218 03153079

დაზარალებულის ან მოწმის მიერ ჩვენების შეცვლის სტატისტიკა

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გამოითხოვა სტატისტიკა⁵⁴ ბოლო ხუთი წლის მანძილზე დაწყებული გამოძიების შესახებ, რომელიც ეხება ოჯახში და გენდერული ძალადობის დანაშაულების შემთხვევაში დაზარალებულის ან მოწმის მიერ ჩვენების შეცვლის მიზნით ზემოქმედების განხორციელებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოგვანოდა ინფორმაცია⁵⁵ ბოლო ხუთი წლის მანძილზე სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლის შესახებ, თუმცა, მონაცემები არ არის დიფერენცირებული სქესის ნიშნით. მონაცემებით ასევე არ ვლინდება, თუ რამდენად უკავშირდებოდა დაზარალებულის, მოწმის თუ ექსპერტზე ზემოქმედება გენდერულ ძალადობას.

აღნიშნული მონაცემი მიუთითებს ხარვეზზე შსს-ს მიერ ქალების შეცვლილ ჩვენებებზე ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით, რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს გენდერული და ოჯახში ძალადობის დანაშაულების გამოვლენასა და დასჯაში.

ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა

სისხლის სამართლის დანაშაულების და, ზოგადად, სისხლის სამართლის პოლიტიკის გენდერული ასპექტების გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ უმეტესად რომელი სახის დანაშაულების მსხვერპლი ხდებიან ქალები.

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გამოითხოვა ბოლო ხუთი წლის მანძილზე დარეგისტრირებული დანაშაულების სტატისტიკა, რა დროსაც დანაშაულის მსხვერპლს ქალები წარმოადგენდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხის მიხედვით⁵⁶, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოებს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებისა და არა დანაშაულის გარემოებათა მიხედვით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები არ ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, ხოლო დანაშაულის ფაბულაში ყოველთვის არ არის დეტალიზებულად მითითებული დანაშაულის გარემოებები. შესაბამისად, მათი განცხადებით, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მოგვანოდონ რეგისტრირებულ დანაშაულთან დაკავშირებით ინფორმაცია, რა დროსაც მსხვერპლად განისაზღვრა ქალი/ქალები.

აღნიშნული ხარვეზი, შეუძლებელს ხდის ქალთა მიმართ დანაშაულების მასშტაბის სრულფასოვან გაზომვას და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენის შეფასებას ქალებზე.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ფაქტებზე დაწყებული გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ფაქტებზე დაწყებული გამოძიებისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის შესახებ არსებული სიტუაციის ანალიზის მიზნით, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გამოითხოვა⁵⁷ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი ძალადობის ფორმების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულება, უგულებელყოფა) ფაქტები წლების მიხედვით; ასევე, საქართვე-

54. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილი # გ-01/959-18, 04.12.2018

55. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 218 03153079

56. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 318 03016306

57. PHR-ის წერილი გ-01/722-18

ლოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე პრიმა, 133-ე სეკუნდა და 151-ე პრიმა მუხლებით დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ამავე საქმეებში დაზარალებულთა რაოდენობისა და სქესის ნიშნის მიხედვით;

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ ნაწილობრივ მოგვანოდა ინფორმაცია⁵⁸, რომელიც შეეხებოდა 1331, 1332 და 1511 მუხლებით დაწყებულ გამოძიებას. ასევე გვაცნობეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები არ ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულს.

ადმინისტრაციული საჩივარი შსს-ს წინააღმდეგ #2

გამოთხოვილი ინფორმაციის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც არ მოგვეწოდა, 2018 წლის 01 ივნისს, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით ინფორმაციის მოწოდება მოითხოვა. ასევე, შუამდგომლობით მივმართეთ სამინისტროს, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველი იყო ზეპირი მოსმენის გამართვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი, რის გამოც ორგანიზაციამ 2018 წლის 01 აგვისტოს სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების, სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების მოთხოვნით. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მოთხოვნა და შსს-ს დაავალა შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა სამუშაომ გამოავლინა, რომ დღევანდელი მდგომარეობით შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციით მოთხოვნილ მინიმალურ სტანდარტს გენდერული მონაცემების შეგროვების კუთხით, რაც მნიშვნელოვანია გამოსწორდეს ქვეყანაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 112-ში შესული შეტყობინებების სტატისტიკა

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, კვლევის მიმდინარეობისას დაინტერესდა, თუ რა სახის გენდერულ სტატისტიკას აგროვებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ “112” და მიმართა⁵⁹ სააგენტოს კითხვით, მათ შორის, რომელი მონაცემები ქვეყნდებოდა ვებგვერდზე. სსიპ “112”-ს ინფორმაციით⁶⁰, სააგენტო გენდერული ძალადობის შესახებ გენდერულ სტატისტიკას არ ამუშავებს. ხოლო, საქართველოს მთავრობის #219 დადგენილების თანახმად⁶¹ ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობას გენდერულ ჭრილში.

ვინაიდან 112-ს ეკისრება წამყვანი როლი ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების აღრიცხვაში, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია⁶² შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112-დან, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 112-ში შესული შეტყობინებების მაჩვენებლის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა ეხებოდა ოჯახში ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შეტყობინებების ავტორთა მონაცემებს რეგიონის, სქესისა და ასაკის ჭრილში. ინფორმაციის მოთხოვნისას, ასევე დაკონკრეტებული იყო, რომ ორგანიზაციას

58. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 918 01047067

59. PHR-ის წერილი გ-01/073-19

60. წერილი MIA 119 01005794,

61. საქართველოს მთავრობის #219 დადგენილება “საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ”.


62. PHR-ის წერილი გ-01/957-18

ესაჭიროებოდა მონაცემები იმის შესახებ, თუ შესული შეტყობინებებიდან რამდენი ეხებოდა შებენიერი შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობას.

112-ის პასუხის თანახმად⁶³, ისინი არ აწარმოებენ სტატისტიკას შებენიერი შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ ძალადობის შესახებ. მათი განცხადებით, 112-ში შესული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მონოდეზიგნირებული ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე 112-ის ოპერატორის მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის, ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა. შესაბამისად, ზარის ინიციატორის სქესი და ასაკი აუცილებელ ინფორმაციას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება, 112-ში შესულ შეტყობინებებს ოჯახში ძალადობისა და ქალის მიმართ ძალადობის რაოდენობასთან მიმართებით, საინტერესოა მათი შედარება გამოცემულ შემთხვევებზე ორდერებთან ამავე რეგიონებში წლების მიხედვით:

112-ში შესული შეტყობინებებისა და შსს-ს მიერ გამოცემული შემთხვევების ორდერების თანაფარდობა



	შეტყობინება 112-ზე	შემთხვევები ორდერი	
■ 2014	6248	476	7.62
■ 2015	7798	1007	12.91
■ 2016	8743	1200	13.73
■ 2017	9544	1920	20.12
■ 2018 (იანვარი-ნოემბერი)	8752	2839	32.44

აღნიშნული სტატისტიკა დადებით დინამიკას ავლენს თუ 2014 წელს 112- შესული ზარების რაოდენობიდან მხოლოდ 7.62 პროცენტში გამოიყვამოდა შემთხვევები ორდერი, 2018 წელს შესული ზარების 32.44 პროცენტზე გამოიყვამოდა ორდერი. იმის გათვალისწინებით, რომ შესული ზარებიდან, შესაძლოა, ზოგი ერთსა და იმავე მსხვერპლს ეხებოდა (რის აღნიშვნასაც 112-ი არ აწარმოებს) დინამიკა კიდევ უფრო პოზიტიური ხასიათისაა და, გამოცემული ორდერების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია. შესაბამისად, მოცემულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავუშვათ, რომ იმ ქალების შედარებით დიდი ნაწილი, ვინც დახმარებისთვის რეკავს 112-ზე, იღებს პოლიციის დახმარებას შემთხვევები ორდერების გამოცემის გზით. მნიშვნელოვანია დამატებით შსს-მ გააანალიზოს, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული პოზიტიური ცვლილება.

63. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 918 03058946

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ 112-ის ინფორმაციით, მათთან რეგისტრირებულია „ოჯახური ძალადობა/კონფლიქტი“, სადაც გაერთიანებულია ოჯახურ უთანხმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება. მაგალითად, მცირე სიტყვიერი შელაპარაკება, კონფლიქტი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცემა და ა.შ. ეს ტიპი მოიცავს ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობის შემთხვევებსაც, ანუ მასში გაერთიანებული შეტყობინებების სპექტრი უფრო ფართოა, ვიდრე ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო დისკოზიცია.

გამოთხოვილ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხარვეზი რომელიც უკავშირდება სსიპ “112”-ის მიერ ინფორმაციის დამუშავებას, გამოიხატება შსს-ს სხვა სტრუქტურებისგან იზოლირებაში, რაც უწყებს არ აძლევს საშუალებას მოახდინოს ინფორმაციის გადამონშება და დახარისხება კონფლიქტისა და ძალადობის გამიჯვნის მიზნით, ასევე პირველადი და განმეორებითი შეტყობინებების მიხედვით.

რეკომენდაციები

- ▶ რეკომენდებულია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს გენდერული მონაცემების და სტატისტიკის შეგროვების ერთიანი სტანდარტი.
- ▶ რეკომენდებულია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვებგვერდზე განთავსებული ზოგადი დანაშაულების სტატისტიკაში დიფერენციაცია მოახდინოს, თუ რამდენ შემთხვევაში იყო მსხვერპლი ქალი, იყო თუ არა გენდერული მოტივი და ა.შ.
- ▶ რეკომენდებულია, შემაკავებელი ორდერების სტატისტიკის წარმოებისას შსს-მ აწარმოოს სტატისტიკა, თუ რომელი დანაშაულის გამოძიების პარალელურად გამოიცა შემაკავებელი ორდერი, სტატისტიკაში დაფიქსირდეს მსხვერპლის და მოძალადის სქესი, რეგიონი, ორდერის გამოცემის განმეორების საჭიროება და ორდერის დარღვევის ფაქტები.
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ აწარმოოს სტატისტიკა რამდენ შემთხვევაში მოხდა ორდერის გამოცემა ერთობლივად ქალი და ბავშვის მსხვერპლის დაცვის მიზნით.
- ▶ განმეორებით გამოცემული შემაკავებელი ორდერების შემთხვევაში, რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს ერთი და იმავე მსხვერპლის დაცვის მიზნით, რამდენჯერ იყო გამოცემული ორდერი.
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ სტატისტიკა აწარმოოს ეთნიკური უმცირესობის ქალთა მიმართ ჩადენილი გენდერული დანაშაულების და გამოცემული ორდერების თაობაზე.
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ აწარმოოს სტატისტიკა ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ ჩვენების შეცვლის თაობაზე, როდესაც მოძალადე იყო ოჯახის წევრი ან ადგილი ჰქონდა გენდერულ ძალადობას.
- ▶ რეკომენდებულია, შსს-მ სტატისტიკა აწარმოოს ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე არა მხოლოდ ოჯახური დანაშაულის კონტექსტში, არამედ დანაშაულების სრულ სპექტრთან მიმართებაში.
- ▶ რეკომენდებულია, 112-ზე შესული შეტყობინებების სტატისტიკა მოხდეს ზარის ავტორის სქესის, რეგიონის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით.

რეკომენდებულია, სსიპ “112”-მა უზრუნველყოს ინფორმაციის დამუშავება, შსს-ს სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობით.

8.4 საქართველოს პროკურატურის მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება

საკანონმდებლო რეგულაცია

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად⁶⁴, პროკურატურაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის⁶⁵ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე⁶⁶. ამასთან, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მუშავდება⁶⁷ საქართველოს მთავარი პროკურორის სპეციალური ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის ორგანოების ვალდებულებას - მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს, ბრძანებით განსაზღვრული შემდეგ დანაშაულების შესახებ:

- ▶ ქალთა მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა სსკ-ის 19.108, 108, 19.109, 109 მუხლები;
- ▶ ქალთა მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა ოჯახური დანაშაულის ნიშნით სსკ-ის 11¹ 19.108, 11¹ 108 და 11¹ 19.109, 11¹ 109 მუხლები;
- ▶ ქალთა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპოვა გამოიწვია სსკ-ის 117 და 11¹ 117 მუხლები;
- ▶ ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა სსკ-ის 142-ე მუხლი;
- ▶ რასობრივი დისკრიმინაცია სსკ-ის 142¹ მუხლი;
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა სსკ-ის 142² მუხლი;
- ▶ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სსკ-ის 143¹ მუხლი;
- ▶ არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სსკ-ის 143² მუხლი;
- ▶ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა სსკ-ის 143³ მუხლი;
- ▶ წამება სსკ-ის 144¹ მუხლი;
- ▶ წამების მუქარა სსკ-ის 144² მუხლი;
- ▶ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა სსკ-ის 144³ მუხლი;
- ▶ განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება სსკ-ის 147-ე მუხლი;
- ▶ უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სსკ-ის 149-ე მუხლი;
- ▶ ქორწინების იძულება სსკ-ის 150¹ მუხლი;
- ▶ ადევნება სსკ-ის 151¹ მუხლი;
- ▶ სიტყვის თავისუფლების ხელყოფა სსკ-ის 153-ე მუხლი;

64. საქართველოს პროკურატურის წერილი 13/96424

65. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის „ტ“ და „ტ1“ ქვეპუნქტები.

66. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის № 68 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 და მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

67. საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 11 ოქტომბრის № 144-მ ბრძანება „საქართველოს პროკურატურის ორგანოებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ“.

- ▶ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა - სსკ-ის 154-ე მუხლი. აგრეთვე, ყველა სისხლის სამართლის საქმე, სადაც პოტენციური დაზარალებულია ჟურნალისტი;
- ▶ რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა - სსკ-ის 155-ე მუხლი;
- ▶ დევნა - სსკ-ის 156-ე მუხლი;
- ▶ პირადი და ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა სსკ-ის 157-ე მუხლი;
- ▶ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა სსკ-ის 161-ე მუხლი;
- ▶ პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისთვის ხელშეშლა (მხოლოდ რელიგიურ გაერთიანებასთან დაკავშირებით) სსკ-ის 166-ე მუხლი;
- ▶ არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში სსკ-ის 171-ე მუხლი;
- ▶ ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდება სსკ-ის 239¹ მუხლი;
- ▶ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის მიერ ჩადენილ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით სსკ-ის 333-ე მუხლი);
- ▶ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება სსკ-ის 335-ე მუხლი;
- ▶ ყველა ის დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირების გარდაცვალებასთან;
- ▶ სსკ-ის 53¹ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული სხვადასხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები (მათ შორის გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, აგრეთვე ყველა სისხლის სამართლის საქმე, სადაც პოტენციურ დაზარალებულად იკვთება ლგბტ ან რელიგიური თემის წარმომადგენელი, ასევე შშმ პირი).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურას საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული აქვს მონაცემები ორგანიზებული დანაშაულისა და კიბერდანაშაულის შესახებ, ამ მონაცემებში არ არის გამოყოფილი და დამუშავებული გენდერული საკითხები. ასევე, არ ფიქსირდება, თუ რა შემთხვევაში იყო დანაშაულით დაზარალებული ქალი.

ძალადობის მსხვერპლი ქალების დაზარალებულად ცნობა და მათ მიერ ჩვენების შეცვლის სტატისტიკა


ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია⁶⁸, რომელიც შეეხება ძალადობის მსხვერპლი ქალების დაზარალებულად ცნობას, მათ მიერ ჩვენების შეცვლას და ჩვენების შეცვლის შემდეგ გამამართლებელი განაჩენის რაოდენობას.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად⁶⁹, ოჯახური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა დაზარალებულის სტატუსის მქონე ქალების შემდეგი რაოდენობა:

68. PHR-ის წერილი გ-01/582-17

69. საქართველოს პროკურატურის წერილი 13/85275

პროკურატურის სტატისტიკა: დაზარალებულის სტატუსის მქონე ქალების მონაცემების წლების მიხედვით



მათი განცხადებით, სხვა მოთხოვნილ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებს.

ადმინისტრაციული საჩივარი პროკურატურის მიმართ #1

2018 წლის 09 იანვარს, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა საქართველოს პროკურატურაში აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისა და მოწოდების მოთხოვნით⁷⁰.

საქართველოს პროკურატურამ განიხილა ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივარი და 2018 წლის 08 დეკემბრის წერილით გვაცნობა⁷¹, რომ საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი გარემოებების გამო: „მოთხოვნა თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად სცილდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მასშტაბს, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს კვლევისა და ანალიზის საგანს, რომელიც გულისხმობს ყველა სისხლის სამართლის საქმის შესწავლას და არსებული მონაცემების დეტალურად დამუშავებას“.

ადმინისტრაციული სარჩელი პროკურატურის მიმართ #1

საქართველოს პროკურატურის მიერ ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ, ორგანიზაციამ მოამზადა სარჩელი და 2018 წლის 22 თებერვალს შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში პროკურატურის წინააღმდეგ ქმედების განხორციელების, სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების მოთხოვნით.

აღნიშნულ სარჩელზე საქართველოს პროკურატურის მიერ 2018 წლის 12 მარტს წარმოდგენილ შესაგებელში მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავებასა და მოწოდებაზე უარის თქმის მთავარი არგუმენტად, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარყოფითი პასუხის მსგავსად, მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების ვალდებულების არარსებობა დასახელდა.

70. PHR-ის წერილი გ-01/601-18
 71. საქართველოს პროკურატურის წერილი 13/9701

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას არის მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი. მათ შორისაა, ასევე, საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამდენად, საჯარო ინფორმაციას უნდა გააჩნდეს მატერიალური ხასიათი და დაცული უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში. ამასთან, კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას მისი მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს. განხილვის შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის დაცული საქართველოს პროკურატურაში და ის თავისი მასშტაბით წარმოადგენს არა აღწერით სტატისტიკურ მონაცემებს, არამედ ანალიტიკურ დოკუმენტს, საჯარო დაწესებულებას ვერ დაევალება ამ ინფორმაციის დამუშავება და გაცემა.

სააპელაციო საჩივარი პროკურატურის წინააღმდეგ #1

2018 წლის 09 ივლისს ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს პროკურატურისათვის ორგანიზაციის 2017 წლის 15 დეკემბერს მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის დავალდებულება.

სააპელაციო საჩივარში ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებაზე შემდეგი არგუმენტაციით: სასამართლო დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს საქართველოს პროკურატურის არგუმენტაციას, რომ მოთხოვნა თავისი შინაარსით სცილდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მასშტაბს და იგი წარმოადგენს კვლევისა და ანალიზის საგანს. საგულისხმოა, რომ მოპასუხის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არავითარი არგუმენტაცია იმის შესახებ, თუ რა დროს ითვლება მონაცემი კვლევად და არა სტატისტიკად. სასამართლომ, სამართლებრივი ნორმების მითითებისა და სარწმუნო არგუმენტების გარეშე გაიზიარა საქართველოს პროკურატურის აღნიშნული მოსაზრება. სასამართლოს არ უმსჯელია, რას წარმოადგენს სტატისტიკური ინფორმაცია და რა არის კვლევა.

- ▶ სამოტივაციო ნაწილში არაფერია ნათქვამი მოსარჩელის პოზიციასა და არგუმენტაციაზე. განხილვის გარეშე დატოვებული „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ პროკურატურის მიერ ნაკისრი ვალდებულებებიც.

ორგანიზაციის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, დაირღვა არა მხოლოდ პროკურატურის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება, არამედ, საფრთხე შეექმნა დევნის ორგანოს მიერ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების კურსს. ამავე დროს, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სახელმწიფო ორგანოებს სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით, არამართო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, არამედ, კვლევების ჩატარების ვალდებულებაც გააჩნიათ.

ძალადობის ფაქტებზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა ძალადობის ფორმების მიხედვით

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია⁷² ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლის-სამართლებრივი დევნის მაჩვენებლის შესახებ, ძალადობის ფორმების მიხედვით. ასევე, ამავე საქმეებში დაზარალებულთა რაოდენობისა და სქესის ნიშნის მიხედვით;

საქართველოს პროკურატურამ⁷³, მოგვეწოდა ინფორმაცია მხოლოდ ოჯახში ძალადობის, ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებსა და სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის¹ საფუძველზე დევნის დაწყებისა და დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით. დანარჩენ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გვეცნობა, რომ აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვას უწყება არ აწარმოებს.

ადმინისტრაციული საჩივარი პროკურატურის წინააღმდეგ #2

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ 2018 წლის 01 ივნისს საქართველოს პროკურატურას მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით⁷⁴ და მოითხოვა იმ გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავება და მონოდება, რომელზეც პროკურატურამ განაცხადა, რომ სტატისტიკურ ინფორმაციას არ აწარმოებს.

საქართველოს პროკურატურამ განიხილა აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივარი და ნაწილობრივ დააკმაყოფილა ის⁷⁵: „ძალადობის ფორმების თაობაზე ინფორმაციის მონოდებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული თავისი შინაარსით, მნიშვნელოვნად სცილდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მასშტაბს, იგი წარმოადგენს კვლევისა და ანალიზის საგანს, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის შესწავლას და არსებული მონაცემების დეტალურად დამუშავებას“ - აღნიშნა პროკურატურამ.

ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ წერილით მოგვეწოდა ინფორმაცია 2013-2017 წლებში დაზარალებულ ქალებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ზოგად სტატისტიკურ მონაცემს და არ მოიცავს ინფორმაციას ქალთა მიმართ ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.

სარჩელი პროკურატურის წინააღმდეგ #2

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოამზადა სარჩელი და 2018 წლის 01 აგვისტოს შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს პროკურატურის წინააღმდეგ და მოითხოვა ქმედების განხორციელება და იმ ინფორმაციის დამუშავება და მონოდება, რომლის მონოდებაზეც პროკურატურამ უარი განაცხადა.

2018 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილ საქართველოს პროკურატურის შესაგებელის მიხედვით, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ერთადერთი არგუმენტაცია არის ის, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად სცილდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მასშტაბს. ის წარმოადგენს კვლევისა და ანალიზის საგანს, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის შესწავლას და არსებული მონაცემების დეტალურად დამუშავებას.

72. PHR-ის წერილი გ-01/723-18

73. საქართველოს პროკურატურის წერილი 13/35636

74. PHR-ის წერილი გ-01/770-18

75. საქართველოს პროკურატურის წერილი 13/49150

მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და შუამდგომლობის სახით⁷⁶ წარმოადგინა მოთხოვნილი გენდერული მონაცემები.

შესაბამისად, ორგანიზაციის სამართალწარმოების შედეგად, პროკურატურამ მოგვანოდა მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაცია. საქმისწარმოების ახალი პროგრამის ფარგლებში აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება გათვალისწინებულია.

ოჯახში ან გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიებისა და დევნის დაწყების სტატისტიკა (სსკ-თ განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულების მიხედვით)

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია⁷⁷ ოჯახში ან გენდერული ნიშნით ქალის მიმართ მომხდარი დანაშაულის გამოძიებისა და დევნის დაწყების მაჩვენებლის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.

კვლევის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ მოგვანოდა ინფორმაცია მხოლოდ ზოგიერთ და არა ყველა მუხლზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების შესახებ⁷⁸.

აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციის თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ძალადობის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ ოჯახში ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ძალადობის შემთხვევებიდან 2016 წელს 1 შემთხვევაში დაზარალებული იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (აზერბაიჯანელი), 2017 წელს 4 შემთხვევა (სომეხი 2, აზერბაიჯანელი 1, უკრაინელი 1), 2018 წელს 11 თვის მონაცემებით 26 შემთხვევა (17 აზერბაიჯანელი, 3 სომეხი, 1 ბერძენი, 4 რუსი, 1 მოლდოველი).

76. საქართველოს გენერალური პროკურატურა 2019 წლის 23 იანვრის შუამდგომლობა #13/4920.

77. PHR-ის წერილი გ-01/961-18

78. საქართველოს პროკურატურის წერილი 13/1722

პროკურატურის სტატისტიკა: დაზარალებულის სტატუსის მქონე ეთნიკური უმცირესობის მქონე ქალთა რაოდენობა

■ 2016 ■ 2017 ■ 2018 (11 თვე)



	დაზარალებული ქალი		
■ 2016	1		
■ 2017	4		
■ 2018 (11 თვე)	26		

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურამ ყოველწლიურად დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნების პროცესში გაითვალისწინოს და გამოაქვეყნოს მონაცემები, სადაც განსაზღვრული იქნება გენდერული სტატისტიკის გამოქვეყნების მოთხოვნები;
- რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურამ დაამუშაოს და გამოაქვეყნოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაზარალებულად ცნობილი ქალების რაოდენობის შესახებ;
- რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურამ დაამუშაოს და გამოაქვეყნოს მონაცემები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის შესახებ ძალადობის ფორმების მითითებით;
- რეკომენდებულია, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნას ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სტატისტიკის შეგროვების დამხმარე მეთოდოლოგია.

8.5 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამართლებრივი რეგულირება

სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად⁷⁹ სამინისტრო სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში, მათ შორისაა:

- ▶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ▶ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
- ▶ საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“;
- ▶ საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“;
- ▶ საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
- ▶ საქართველოს მთავრობის დადგენილება⁸⁰;
- ▶ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 9 ნოემბრის #427 ბრძანება;
- ▶ „საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის #127/მ ბრძანება;
- ▶ სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა“ და სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას“ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების მიზნით 2017 წლის 12 ივლისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმებისა და „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანება;
- ▶ „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგის დოკუმენტი“, შემუშავებულია საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის ხელშეწყობით.

სამინისტროს ვებგვერდზე გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა არ იძებნება ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ძებნის მექანიზმით. გენდერული სტატისტიკა, ასევე არ არის ცალკე განთავსებული ვებგვერდის რომელიმე სპეციალურ გვერდზე.

ორგანიზაციის სპეციალური მიმართვის შემდეგ, სამინისტრომ ორგანიზაციას წერილობით შეატყობინა⁸¹ რომ სამინისტროს ვებგვერდზე გენდერული სტატისტიკა ქვეყნდება, სხვა უწყებების მსგავსად საქართველოს მთავრობის 2019-ე დადგენილების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს უწყებაში დასაქმებულ პირთა გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებს. დამატებით, სამინისტრომ შეატყობინა, რომ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გენდერულ ჭრილში ინარმოება შემდეგი სტატისტიკა:

79. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია MES 018 01620571, 17.12.2018

80. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

81. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი MES 919 004 11824

- დასაქმებულთა რიცხოვნობა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოვლენილი ფაქტები და დარღვევები;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში გადამისამართებული ბენეფიციარების რაოდენობა;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირებული ფაქტები.

სამინისტროს წერილის თანახმად, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა რეგულარულად ამუშავებს, ამზადებს და ანაწილებს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსწავლეთა და მასწავლებელთა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების სტუდენტთა და პედაგოგთა და დაწესებულებების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შესახებ. კერძოდ, გენდერულ ჭრილში მზადდება ინფორმაცია მოსწავლეთა და სტუდენტთა ჩართულობის, მოძრაობის, სწავლის შედეგების, მონაცემები პედაგოგთა დატვირთვის, განათლების და კვალიფიკაციის შესახებ, ასევე, ასაკობრივი სტრუქტურა. ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე catalog.Edu.ge, სადაც ინფორმაცია მიეწოდება სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, იუნესკოს და ხელმისაწვდომია ასევე, მათ ვებპორტალებზე.

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე პროაქტიულად გამოითხოვა საშუალო სკოლებში გენდერული სტატისტიკის შეგროვების შესახებ მონაცემები, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნას ყველა სკოლაში და გაკეთებული შეტყობინებების რაოდენობას პოლიციელის თუ სოციალური სამსახურის მიმართ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური შეტყობინებით⁸², საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად⁸³, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში განსაზღვრულია ძალადობაზე პასუხისმგებელი სუბიექტი, ხოლო იმ საჯარო სკოლებში, სადაც საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ძალადობაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე გადამისამართებაზე ვალდებული სუბიექტის მიერ დაუყოვნებლივ ხდება ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში/შსს-ში სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება. აგრეთვე, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ინფორმირება ძალადობის და სავარაუდო ძალადობის ფაქტების თაობაზე.

ამავე დროს, სამინისტრომ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი არ ახდენს ბავშვთა სავარაუდო ძალადობის საქმეებში გენდერული და ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებას და არ აწარმოებს სტატისტიკის ამ კუთხით, არამედ მსგავსი საკითხის გამოკვლევა ხდება მოგვიანებით, როდესაც საქმეში ერთვება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. მათ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავს არა მხოლოდ გენდერულ და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოვლენილ ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევას.

მონოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ სამინისტრო ფაქტობრივად არ აწარმოებს გენდერულ სტატისტიკას, რომელიც კავშირში იქნებოდა გენდერულ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან.

82. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 018 002
 83. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილება #437, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები

- ▶ რეკომენდებულია, სამინისტრომ „გენდერული ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის და სტამბულის კონვენციის შესაბამისად შეიმუშაოს კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც როგორც თავად სამინისტროში, ისე მის საქვეუწყებო სააგენტოებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, პროფესიულ და უმაღლესი განათლების სამინისტროებში, განსაზღვრავს გენდერული მონაცემების შეგროვების წესს.
- ▶ რეკომენდებულია, სამინისტრომ გენდერული მონაცემები შეაგროვოს შემდეგ საკითხებზე:
 - გენდერული ძალადობის მსხვერპლი ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების იდენტიფიცირება და შესაბამის სერვისებში გადამისამართება.
 - გოგონების წინაშე არსებული ბარიერები სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების პროცესში.

8.6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება

სამართლებრივი რეგულირება

სამინისტროს განმარტებით⁸⁴, გენდერული სტატისტიკის წარმოება და მიწოდება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით.

ასევე, „შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის #603 დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის #01-1/ნ ბრძანების მე-12 დანართის შესაბამისად, სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი აწარმოებს გამოვლენილ დარღვევებზე სტატისტიკურ და თემატურ ანგარიშს.

დამატებით, სამინისტრო ახორციელებს საჯარო ინფორმაციის გაცემას და სტატისტიკის წარმოებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის #01-1/ნ ბრძანების მე-9 დანართის, მე-5 მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

სამინისტროს ვებგვერდზე, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გენდერული სტატისტიკა არ იძებნება ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმით. გენდერული სტატისტიკა, ასევე, არ არის ცალკე განთავსებული ვებგვერდის რომელიმე სპეციალურ გვერდზე.

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიმართვის შემდეგ, სამინისტრომ ორგანიზაციას აცნობა⁸⁵, რომ სამინისტრო ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობას კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში.

84. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია #01/11567-ს, 18.12.2018

85. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი KA 030185591646719

ამავე წერილის მიხედვით, დევნილთა მონაცემთა ბაზა სხვა მახასიათებლებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას დევნილთა ასაკისა და სქესის შესახებ. თუმცა, დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტი სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გენდერულ სტატისტიკას არ აქვეყნებს.

სამინისტროს განცხადებით, სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ და სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული სამსახურების მიერ. ადგილობრივი შრომის ბაზრების საჭიროებების შესწავლისა და სტატისტიკური აღრიცხვის პროცესში რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყენება დამხმარე (დამატებითი) კვლევის ისეთი ფორმები (დაზვერვითი, პილოტური, ექსპრეს გამოკითხვა, აღწერითი), რომლებიც უშუალო კავშირშია სოციალური და დასაქმების პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებასთან. ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ წარმოებული სტატისტიკისა და კვლევების შესახებ, ყოველი წლის ბოლოს ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე. ასევე, სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი ყოველწლიურად, მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ამტკიცებს საწარმოში/ორგანიზაციაში/დანესებულებაში შრომის პირობების ინსპექტირების ჩატარების წესს და შესაბამის კითხვარს, სადაც მოცემულია ინფორმაცია დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ (ქალი, მამაკაცი, არასრულწლოვანი 16 წლამდე, შშმ პირი). აგრეთვე, “შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გაცემულ მითითებებში მიეთითება დასაქმებულთა რაოდენობა (ქალი, მამაკაცი, არასრულწლოვანი 16 წლამდე, შშმ პირი).

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის #01-26/ნ ბრძანების საფუძველზე ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტში გენდერულ ჭრილში გროვდება შემდეგი სახის მონაცემები:

- ▶ კიბოს ახალი შემთხვევების შესახებ;
- ▶ სტაციონარიდან გასული პაციენტების შესახებ;
- ▶ ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ დანესებულებებში დაავადებების ახალი შემთხვევების შესახებ (ამ ეტაზე მოიცვა 60%);
- ▶ ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის შესახებ დაბადების რეგისტრის ფარგლებში;
- ▶ ტუბერკულოზის შემთხვევათა შესახებ;
- ▶ სქესობრივი გზით გადამდები, კანის სოკოვანი დაავადებების და მუნის შესახებ;
- ▶ სამედიცინო კადრების შესახებ.

აღნიშული მონაცემები განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ქვეყნდება სხვადასხვა სტატისტიკურ ცნობარსა და პუბლიკაციაში.

რაც შეეხება ამავე სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ვებგვერდს (atipfund.gov.ge), მასზე შემდეგი სახის გენდერული სტატისტიკაა გამოქვეყნებული:

- ▶ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით (თავშესაფრები) მოსარგებლე ბენეფიციართა სტატისტიკა - წლების მიხედვით და სქესის ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები იმ ბენეფიციართა შესახებ (სრულწლოვანი მსხვერპლი/დაზარალებული, არასრულწლოვანი მსხვერპლი/დაზარალებული და სრულწლოვანი მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირი), რომელთაც მიიღეს ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება, სამართლებრივი კონსულტაცია/დახმარება, დროებითი სადღეღამისო საცხოვრისი.
- ▶ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით (კრიზისული ცენტრები) მოსარგებლე ბენეფიციართა სტატისტიკა - წლების მიხედვით კრიზისული ცენტრების მომსახურების მიმღები პირების სტატისტიკა, რომელიც დაჯგუფებულია სქესის და სერვისების მიხედვით, მათ შორის, ფსიქოლოგიური მომსახურება, სოციალური პრობლემების მოგვარების მხარდაჭერა, სამართლებრივი მომსახურება, სამედიცინო დახმარების ორგანიზება/მიღება და სადღეღამისო საცხოვრისი მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლთათვის, ქ.თბილისში.

რაც შეეხება, ამავე სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილის თანახმად, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია სააგენტოს ადმინისტრირებას დაქვემდებარებული სახელმწიფო პროგრამების/ბენეფიტების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ხოლო შესაბამის ბმულზე “სტატისტიკა”, ყოველთვიურად განახლებული მონაცემები, მათ შორის, გენდერულ ჭრილში, (ა)“სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” რეგისტრირებული მოსახლეობის, (ბ)“საარსებო შემწეობის”, (გ) სახელმწიფო პენსიის, (დ) სოციალური პაკეტის, (ე) სახელმწიფო კომპენსაციის, (ვ) სახელმწიფო სუბსიდიის, (ზ) “დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში ბენეფიტის, (თ) სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამისა და რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებთა, ასევე (ი) “საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის” ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლეთა, (კ) დევნილი მოსახლეობის სტატისტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო მართლაც აწარმოებს გენდერულად დიფერენცირებულ სტატისტიკას, გარკვეული (არა ყველა) პროგრამის ბენეფიციართა აღრიცხვის მიზნით, ეს მაინც ვერ ჩაითვლება სრულფასოვან გენდერულ სტატისტიკად, რომელიც გააუმჯობესებდა სამინისტროს მუშაობას გენდერული ძალადობის დაძლევისათვის. არსებულ მონაცემებში არ არის კავშირი გენდერული ძალადობის თემასთან, მაგ. დაინტერესებული პირი ვერ გაარკვევს, თუ გენდერული ძალადობის მსხვერპლთა რა პროცენტი არის სიღარიბის ზღვარს მიღმა ან გააჩნია ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები. ასევე, სამინისტრო არ აღრიცხავს გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისის განევის შედეგად რეალურად რამდენად გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა, სტატისტიკა იკვლევს არა ქალების საჭიროებების აღრიცხვას და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ხარისხს, რაც იქნებოდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნასთან შესაბამისობაში, არამედ მხოლოდ განეულ სერვისს, რაც ვერ ჩაითვლება სრულფასოვან მიდგომად და საჭიროებს გაუმჯობესებას.

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სამინისტროს მიმართა წერილით⁸⁶, რომლითაც მოითხოვა სტატისტიკა სამედიცინო დაწესებულებებისადმი მიმართვიანობის შესახებ ოჯახში ან ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის მხრიდან, ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის სამკურნალოდ ან შესაფასებლად. ასევე, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაკეთებული შეტყობინებების რაოდენობაზე სამართალდამცავი ორგანოებისადმი, მსხვერპლის თანხმობით ან მის გარეშე.

სამინისტროს პასუხის⁸⁷ მიხედვით, 2014 წლიდან ამოქმედდა საქართველოში სტაციონარული დაწესებულებების ანგარიშგების ელექტრონულ წარმომავლზე ორიენტირებული სისტემა, რამაც შესაძლებელი გახადა აღრიცხოს არა მარტო ტრავმის დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, არამედ ტრავმის გამომწვევი გარეგანი მიზეზიც. ამავე დროს, ვინაიდან 2013 წელს საქართველოში სტაციონარული დაწესებულებების ანგარიშგება ხორციელდებოდა აგრეგირებული სახით, ქალაქის მატარებელზე, აღრიცხებოდა მხოლოდ ტრავმები, გამომწვევი გარეგანი მიზეზის მითითების გარეშე, შესაბამისად, მსგავსი დაზიანების გამო ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების ამოკრება შეუძლებელია.

ამჟამად მიმდინარეობს 2017 წლის წინასწარი მონაცემთა ბაზების წმენდა და კორექტირება და 2017 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მოგვიანებით.

რაც შეეხება, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ სამართალდამცავებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, სამინისტრომ ორგანიზაცია “პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის” მოთხოვნა გადააგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვინაიდან 2000 წლის 5 დეკემბრის ბრძანების⁸⁸ შესაბამისად, პოლიციისთვის ცნობის გადაცემას ექვემდებარება ყველა ტრავმული და ტრავმაზე საეჭვო შემთხვევა, როცა პაციენტი იმყოფება უგონო მდგომარეობაში ან, ავადმყოფი მიუთითებს ძალადობრივ ქმედებაზე.

სამინისტროს მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი ინფორმაცია:

ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის (ასკ-10)⁸⁹ შესაბამისი კოდებია:

- ▶ Y 07.0 ძალადობა ან უგულვებელყოფა განხორციელებულია მეუღლის, პარტნიორის მხრიდან;
- ▶ Y 07.1 ძალადობა ან უგულვებელყოფა განხორციელებულია ბიოლოგიური მშობლის ან მშვილებლის მხრიდან;
- ▶ Y 07.4 ძალადობა ან უგულვებელყოფა განხორციელებულია სხვა ოჯახის წევრის მხრიდან;
- ▶ Y 07.0 ძალადობა ან უგულვებელყოფა განხორციელებულია არა ოჯახის წევრის მხრიდან;
- ▶ Y 07.0 ძალადობა ან უგულვებელყოფა განხორციელებულია დაუზუსტებელი პირის მიერ.

86. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის კორესპონდენცია #გ-01/651-18, 22.02.2018


87. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია #01/13463, 07.03.2018

88. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის #239/5 ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებისთვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ“

89. http://classifications.moh.gov.ge/Classifications/Files/ICD10_manual_instructions_ka-GE.pdf

ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკა:

ძალადობის შედეგად ჰოსპიტალიზებულ ქალთა რაოდენობა
2014 - 2017 წლები



დამატებით, სამინისტრომ ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი⁹⁰, რომლითაც იგი ჯანდაცვის სამინისტროს ატყობინებდა, რომ მათი მხრიდან არ ხდება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ შსს-სთვის ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობის შემთხვევებიდან იმის აღრიცხვა, თუ რამდენი შეტყობინება განხორციელდა მსხვერპლის თანხმობით თუ თანხმობის გარეშე.

აღნიშნული სტატისტიკა მნიშვნელოვან ხარვეზს ავლენს: ბოლო წლებში 112-ს ხაზზე შემავალი მრავალი შეტყობინების ავტორი, ძალადობის მსხვერპლი ქალი ხვდება ძალადობის შედეგად საავადმყოფოში. სტატისტიკა ამბობს, რომ ფაქტობრივად ექიმები ვერ ახდენენ ძალადობის ამოცნობას და შეტყობინებას. აუცილებელია ჯანდაცვის სამინისტრომ გამოიკვლიოს ამ ხარვეზის მიზეზი და დალისხმევა გაიღოს მის გამოსასწორებლად.

90. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 518 005 86309.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდი

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ასევე მიმართა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“⁹¹ შემდეგი გენდერული სტატისტიკის მოსაწოდებლად:

- 2018 წლის ნოემბერში ორგანიზაციამ სახელმწიფო ფონდიდან გამოითხოვა ინფორმაცია⁹² თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მოსარგებლე პირების შესახებ, ასევე გაცემული კომპენსაციის მიმღები პირების და ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების ავტორების შესახებ.

სახელმწიფო ფონდმა ორგანიზაციას მოაწოდა აღნიშნული ინფორმაცია⁹³.

- ორგანიზაციამ 2018 წლის დეკემბერში დამატებით გამოითხოვა ფონდიდან სტატისტიკური ინფორმაცია⁹⁴ თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მოსარგებლე მსხვერპლთა შორის ეთნიკური უმცირესობების და შშმ პირების შესახებ, ასევე თავშესაფრის განმეორებით გამოყენების და განუვლი მომსახურებების შესახებ.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პასუხის თანახმად⁹⁵:

1. 2013-2018 წლებში (III კვარტალი) თავშესაფრებით ისარგებლა სულ 379 ზრდასრულმა ქალმა. ამათგან 20 იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე და 26 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.
2. 2013-2018 წლებში (III კვარტალი) თავშესაფრებს განმეორებით ან მეტჯერ მიმართა 21-მა მსხვერპლმა ქალმა. მათ შორის ერთი იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
3. 2013-2018 წლებში (III კვარტალი) კრიზისული ცენტრების მომსახურებით ისარგებლა სულ 161 ზრდასრულმა მსხვერპლმა/სავარაუდო მსხვერპლმა ქალმა. ამათგან ორი იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ორი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.
4. 2013-2018 წლებში (III კვარტალი) თავშესაფარში მიღებული სერვისები:

ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია - 379 ზრდასრული მდედრობითი სქესის, მათ შორის 20 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 26 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი;

სამართლებრივი კონსულტაცია/დახმარება - 371 ზრდასრული მდედრობითი სქესის, მათ შორის 20 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 26 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.

5. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება - 275 ზრდასრული მდედრობითი სქესის, მათ შორის 10 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 13 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.

91. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის კორესპონდენცია #გ-01/956-18, 04.12.2018 და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის კორესპონდენცია #გ-01/947-18, 26.11.2018

92. PHR-ის წერილი გ-01/947-18

93. ფონდის წერილი 07/1608


94. გ-01/956-18

95. ფონდის წერილი 07/1667

2013-2018 წლებში (III კვარტალი) კრიზისულ ცენტრში მიღებული სერვისები:

- ▶ ფსიქოლოგიური მომსახურება - 131 ზრდასრული მდებარეობითი სქესის, მათ შორის 2 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.
- ▶ სოციალური პროგრამების მოგვარების მხარდაჭერა - 37 ზრდასრული მდებარეობითი სქესის, მათ შორის 2 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.
- ▶ სამართლებრივი კონსულტაცია/დახმარება - 152 ზრდასრული მდებარეობითი სქესის, მათ შორის 2 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.
- ▶ სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება - 25 ზრდასრული მდებარეობითი სქესის, მათ შორის 2 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.
- ▶ 2013-2018 წლებში (III კვარტალი) კრიზისულ ცენტრებს განმეორებით ან მეტჯერ მიმართა 6 მსხვერპლმა/სავარაუდო მსხვერპლმა ქალმა. მათ შორის 0 იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 0 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი.

ტრეფიკინგის ფონდის სტატისტიკა



რეკომენდაციები

- ▶ რეკომენდებულია, ჯანდაცვის სამინისტრომ გამოიკვლიოს სამედიცინო პერსონალის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინებების ნაკლებობის რეალური მიზეზი, რაზეც შეტყველებს სტატისტიკა და მტკიცებულებაზე დაყრდნობით შეიმუშაოს აღნიშნული ვითარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკა .
- ▶ რეკომენდებულია, ჯანდაცვის სამინისტრომ და მასთან დაკავშირებულმა სსიპ-ებმა გენდერული სტატისტიკა აწარმოონ გენდერულ ძალადობასთან და ქალთა გაძლიერებასთან კავშირში.
- ▶ რეკომენდებულია, სახელმწიფო ფონდმა აწარმოოს დეტალური სტატისტიკა ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით საკონსულტაციო ცხელ ხაზზე შემოსული ბარების შესახებ, მათ შორის, რამდენი ძალადობის მსხვერპლი ითხოვს ფსიქოლოგიურ, სამედიცინო თუ სხვა ტიპის დახმარებას, რა ფორმის ძალადობის მსხვერპლი გახდნენ და ა.შ.
- ▶ რეკომენდებულია, სახელმწიფო ფონდმა პროაქტიულად გამოაქვეყნოს სტატისტიკა, რომელიც აღწერს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული სერვისების და თავშესაფრით სარგებლობის რიცხვებს, არამედ ასევე იმასაც, თუ ფონდის დახმარებით რამდენმა ქალმა შეძლო დასაქმება, რამდენ ხანში იპოვა სამსახური, რამდენმა ქალმა შეძლო შვილების განათლების უზრუნველყოფა, რამდენმა ქალმა მოახერხა თავშესაფრის შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, საცხოვრისის დაქირავება და ა.შ.
- ▶ რეკომენდებულია, სახელმწიფო ფონდის სტატისტიკა კავშირში იყოს სხვა უწყებების სტატისტიკასთან (მაგ. შსს, პროკურატურა).

8.7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს უზენაესი სასამართლო⁹⁶ საერთო სასამართლოებიდან სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს და ამუშავებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების⁹⁷ და უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტის⁹⁸ შესაბამისად.

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ იძებნება გენდერული სტატისტიკის შესახებ მონაცემები⁹⁹.

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია¹⁰⁰ ოჯახში ან გენდერული ნიშნით ქალის მიმართ მომხდარი დანაშაულის შესახებ მიღებულ გამამართლებელ და გამამტყუნებელ გადაწყვეტილებებზე. ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას რეგიონის და წლების ჭრილში, დანაშაულის სახეების და ასევე, დანაშაულის მსხვერპლი ქალების მახასიათებლების (მაგ. შშმ ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი) მიხედვით.

96. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი 672-18

97. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულება რაიონული (საქალაქო), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

98. უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2018 წლის 18 იანვრის № 3/პლ-2018 დადგენილებით დამტკიცებული უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტის შესაბამისად.

99. პროექტის მიმდინარეობის პროცესში დაიწყო უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სტატისტიკის ბლოკში ოჯახში ძალადობის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება. კერძოდ, 2019 წელს გამოქვეყნდა 2018 წლის მონაცემები დამცავი ორდერების შესახებ რეგიონულ და გენდერულ ჭრილში, ასევე ძალადობის ფორმების შესახებ. უზენაესმა სასამართლომ 2019 წელს გამოაქვეყნა ასევე მონაცემები 2018 წელს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით სსკ-ის მუხლების მიხედვით. მომავალში აღნიშნულ მონაცემებს დაემატება ინფორმაცია გასაჩივრების მონაცემების შესახებ.

100. PHR-ის წერილი გ-01/960-1

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ორგანიზაციას მიაწოდა არასრული ინფორმაცია¹⁰¹ და აცნობა, რომ სასამართლოებში ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულების აღრიცხვა ხორციელდება 2018 წლიდან (ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში 2017 წლიდან). რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა მიმართ განხორციელებულ ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების შესახებ ინფორმაციას, სასამართლოებში აღნიშნული ნიშნით საქმეთა აღრიცხვა ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს.

ორგანიზაციამ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან აგრეთვე გამოითხოვა ინფორმაცია შემაკავებელი და დამცავი ორდერების გასაჩივრების მაჩვენებლის და გაუქმების შესახებ ქვედა ინსტანციის სასამართლოებში¹⁰² ძალადობის ფორმების მიხედვით.

უზენაესმა სასამართლომ ორგანიზაციას მხოლოდ ნაწილობრივ მიაწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია¹⁰³.

ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი¹⁰⁴ და მოითხოვა იმ ინფორმაციის გაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, რომლის მონოდებაზეც უარი ეთქვა, რადგან იმ მომენტისთვის სასამართლო სისტემაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ მუშავდებოდა.

ადმინისტრაციულ საჩივარზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პასუხის თანახმად¹⁰⁵, არ არსებობდა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, მათი თქმით 2017 წლის პირველ ივნისამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს შემაკავებელი ორდერები დასამტკიცებლად შეჰქონდათ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელიც საჩივრდებოდა სააპელაციო წესით. ამდენად, შემაკავებელი ორდერების პირველი ინსტანციის სასამართლოებში გასაჩივრების მაჩვენებელი ვერ იარსებებდა პირველი ინსტანციის სასამართლო სტატისტიკაში. 2017 წლის პირველი ივნისიდან, შემაკავებელი ორდერების გასაჩივრება შესაძლებელი გახდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის აღრიცხვაც გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის პირველი იანვრიდან. შესაბამისად, კრებსითი მონაცემი მოგვეწოდა მხოლოდ 2018 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით. რაც შეეხება სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით ნაკისრ ვალდებულებას სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასთან დაკავშირებით, ის აისახა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში, რომლის მიხედვითაც სასამართლოებს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება დაევალებათ 2019-2020 წლებში.

სამართალწარმოება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ მოამზადა სარჩელი და 2018 წლის 18 ივლისს შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. დავის საგანს წარმოადგენდა უზენაესი სასამართლოსათვის სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულება.

101. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი პ-677-18

102. PHR-ის წერილი გ-01/730-18

103. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი პ-167-18

104. PHR-ის წერილი გ-01/775-18

105. ოს/108-18

2018 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ ზეპირ მოსმენაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, მხარეებმა გააფორმეს მორიგების აქტი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაამუშავეს და სრულად გადასცემს მოთხოვნილ ინფორმაციას ორდერების გასაჩივრების და გაუქმების შესახებ ძალადობის ფორმების მიხედვით ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მონაცემების დამუშავება გაგრძელდება შემდეგშიც.

2019 წლის 15 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ორგანიზაციას მორიგების აქტით განსაზღვრული ინფორმაცია¹⁰⁶.

რეკომენდაციები

- ▶ რეკომენდებულია, საერთო სასამართლოების სისტემაში, მათ შორის უზენაეს სასამართლოში, მოხდეს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული უნიფიცირებული სტატისტიკის შეგროვება სხვა უწყებების სტატისტიკასთან კოორდინირებულად.
- ▶ რეკომენდებულია, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამუშაოს და გამოაქვეყნოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაზარალებული ქალის მიერ ჩვენების შეცვლასთან დაკავშირებით;
- ▶ რეკომენდებულია, საერთო სასამართლოების სისტემამ, სხვა უწყებებთან ერთად, სასამართლოს როლი ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის კუთხით სწორედ გენდერული სტატისტიკის ანალიზით გაზომოს და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე.

8.8 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება

სამართლებრივი რეგულირება

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო საჯარო ინფორმაციას, მათ შორის, სტატისტიკას აგროვებს და გაცემს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე¹⁰⁷. აღნიშნულ ბრძანებას არ გააჩნია გენდერული ასპექტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე გენდერული სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

ორგანიზაციამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გამოითხოვა შემაკავებელი ორდერების გასაჩივრებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია¹⁰⁸, ძალადობის ფორმების მიხედვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილის¹⁰⁹ საშუალებით ორგანიზაციას მიენოდა 2013-2017 წლებში გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც იყო მწირი და არ შეიცავდა მოთხოვნილ ინფორმაციას.

106. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ PHR-თან გაფორმებული მორიგების აქტის პირობები: შეიმუშავა ფორმები ინფორმაციის მისაღებად, დანერგა ისინი სასამართლოს სისტემაში, მიიღო და დაამუშავა ბოლო სამი წლის მონაცემები და მიაწოდა ორგანიზაციას. მონაცემების აღნიშნული სისტემით დამუშავება გაგრძელდება მომავალში.

107. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/225, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

108. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის 2018 წლის 01 მაისის # გ-01/732-18 წერილი.

109. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 08 მაისის წერილი #227 – 2/10,

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ცნობით, სასამართლო გენდერული ნიშნით და ძალადობის ფორმების მიხედვით დამცავი და შემაკავებელი ორდერების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას არ აწარმოებდა.

ადმინისტრაციული საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წინააღმდეგ

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უარი გენდერული სტატისტიკის სრულფასოვნად მოწოდებაზე, ადმინისტრაციული საჩივრის გზით¹¹⁰ გაასაჩივრა. საჩივარში ორგანიზაცია მიუთითებდა საერთო სასამართლოს ვალდებულებაზე, გენდერული სტატისტიკის წარმოების კუთხით.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა გეპირი მოსმენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა 2018 წლის 27 ივნისს.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 10 ივლისს დააკმაყოფილა ორგანიზაციის ადმინისტრაციულის საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავჯდომარის ბრძანების¹¹¹ თანახმად:

„მიუხედავად იმისა, რომ სადავო ინფორმაციის დამუშავება მოითხოვს მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს და დროს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპული კონვენციით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამ ინფორმაციის დამუშავება და ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ისე, რომ გამოირიცხოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების გამჟღავნება“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შემდეგ, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა დეტალური გენდერული სტატისტიკა ორდერების გასაჩივრების შესახებ.

8.9 თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გენდერული სტატისტიკის წარმოება

სამართლებრივი რეგულირება

თბილისის სააპელაციო სასამართლო საჯარო ინფორმაციას, მათ შორის, სტატისტიკას აგროვებს და გასცემს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე¹¹². აღნიშნულ ბრძანებას არ გააჩნია გენდერული განზომილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე, გენდერის ტრილში წარმოდგენილი სტატისტიკა არ მოიპოვება.

110. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის წერილი/ ადმინისტრაციული საჩივარი #01/774-18, 2018 წლის 05 ივნისი.

111. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავჯდომარის 2018 წლის 10 ივლისის ბრძანება #194

112. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/225, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან გამოითხოვა¹¹³ ინფორმაცია გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების გასაჩივრების და გაუქმების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ¹¹⁴ ორგანიზაციას მიაწოდა 2013-2015 წლებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა და შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის თაობაზე მწირი ინფორმაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს, იმავე წერილით ორგანიზაციას ეცნობა, რომ გენდერული ნიშნით სტატისტიკის წარმოება და გადაწყვეტილებების საარქივო დამუშავება თბილისის სააპელაციო სასამართლოში არ ხორციელდებოდა.

ადმინისტრაციული საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინააღმდეგ

ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საჩივრით¹¹⁵ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს უარი გენდერული სტატისტიკის მიწოდების თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი განხილვა მოხდა 2018 წლის 6 ივნისს¹¹⁶.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის 04 ივლისის გადაწყვეტილებით ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა¹¹⁷. გადაწყვეტილებაში მითითებულია:

„ცალსახად ვიზიარებთ იმ პრინციპებს, რაც უკავშირდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და მივიჩნევთ, რომ დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის სავალდებულოა ცალკეულ ინდივიდს ხელი მიუწვდებოდეს დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე.

მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ეტაპისთვის სრულყოფილად არ არის განხორციელებული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გენდერული ანალიზი, დამცავი და შემაკავებელი ორდერების დეტალური ანალიზი, მათ შორის, ძალადობის ფორმების მიხედვით, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია“.

აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტილების თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის დეკემბერში¹¹⁸ აღასრულა. კერძოდ, ორგანიზაციას მიეწოდა გენდერულად დამუშავებული მონაცემები, რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლო არ ამუშავებდა ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებამდე.

113. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის 2018 წლის 01 მაისის # გ-01/731-18 წერილი.

114. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 მაისის #01/210 (ა) წერილი

115. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის 2018 წლის 05 ივნისის #გ-01/773-18 წერილი.

116. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 ივნისის #01/273 (ა) წერილი.

117. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის 2018 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილება #1

118. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის წერილი #01/449 (ა)

შეჯამება

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მოცემულობით, სახელმწიფო უწყებები ვერ აგროვებენ გენდერულ სტატისტიკას საერთაშორისო ხელშეკრულებებით, უფრო კონკრეტულად კი, სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტით. როგორც კვლევამ გამოავლინა, ამის მთავარი მიზეზია რელევანტური კანონქვემდებარე რეგულაციების არქონა, რომელიც კონკრეტულ უწყებებს განუსაზღვრავდა ვალდებულებებს, კონკრეტული სახით გენდერული სტატისტიკის შეგროვებისთვის. რეგულაციის არქონის თანმდევი შედეგია ისიც, რომ უწყებები არ არიან შეთანხმებული ძირითად დეფინიციებზე და მათი შეგროვებული მონაცემები ამ მიზეზის გამო ერთმანეთს არ ემთხვევა. სტამბოლის კონვენციის მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტი გენდერული სტატისტიკის შეგროვებასთან დაკავშირებით დღეს უწყებების მხრიდან აღიარებული არ არის.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველო ახდენს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოებას და, მთელი რიგი მიმართულებებით ხდება ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია, როგორც კვლევამ გამოავლინა, ეს პროცესი არ არის დაწყებული გენდერული სტატისტიკის შეგროვების მიმართულებით.

ადმინისტრაციული ორგანოების უმრავლესობა არ აგროვებს გენდერულ სტატისტიკას, არამედ აგროვებს მხოლოდ სქესის ნიშნით დივერსიფიცირებულ მონაცემებს, ისიც იშვიათ შემთხვევაში და არა ყველა მიმართულებით.

იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანო აგროვებს გარკვეული სახის გენდერულ მონაცემებს, მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტრო, არ ხდება ამ მონაცემების ფუნქციური გამოყენება. მონაცემები, მწირი სახით, უწყების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პოლიტიკისგან დამოუკიდებლად არსებობს.

უწყებები, გენდერული სტატისტიკის მეშვეობით არ ზომავენ იმას, თუ რამდენად ეფექტურია სახელმწიფო პოლიტიკა გენდერული ძალადობის დაძლევის მიმართულებით. სახელმწიფოს ისედაც მწირ რესურსები იხარჯება გენდერული სტატისტიკით განხორციელებული მონიტორინგის გარეშე, რაც არაეფექტური ხარჯვის წინაპირობაა.

გენდერული სტატისტიკის წარმოების ხარვეზი ასევე გამოვლინდა კოორდინაციის ნაკლებობაში. დღეს ფაქტობრივად არც ერთმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ იცის რა სახის გენდერულ სტატისტიკას აწარმოებს სხვა ადმინისტრაციული ორგანო და რა როლი აქვს უწყებებს შორის სტატისტიკის შეჯერებას კოორდინირებულ მუშაობაში.

კვლევის თანახმად, განსაკუთრებულად რთული სიტუაციაა სასამართლო სისტემაში გენდერული სტატისტიკის მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომების კუთხით. მაშინ როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა დააკმაყოფილეს ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ადმინისტრაციული საჩივრები ან გააფორმეს მორიგება და დაინყეს სასამართლო სისტემაში ახალი გენდერული სტატისტიკის შეგროვება, ამავე სასამართლო სისტემამ დაუსაბუთებლად სცნო სარჩელები, რომელიც ეხებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გენდერული სტატისტიკის შეგროვების აუცილებლობას.

გენდერული სტატისტიკის შეგროვება, დღესდღეობით გაუმჭვირვალე პროცესია. არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის არ არის ცხადი, თუ კონკრეტულად რა მეთოდოლოგიით და მიდგომით გროვდება მონაცემები. აღნიშნული ინფორმაციის გარეშე არასამთავრობოები მოკლებული არიან შესაძლებლობას, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ შეგროვებული სტატისტიკის სანდოობა და ვალიდურობა.

ასევე, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან არ არის აღიარებული ის ფაქტი, რომ გენდერული სტატისტიკის ხელმისაწვდომობა სავალდებულოა, როგორც ვნახეთ, მაგალითად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფაქტიურად პროაქტიულად არ განათავსებს ვებგვერდზე რაიმე ინფორმაციას გენდერული ძალადობის შესახებ, ხოლო სხვა სამინისტროები გაცილებით ნაკლებ გენდერულ სტატისტიკას აქვეყნებენ, ვიდრე აქვთ.

აღნიშნული ხარვეზების უმთავრეს მიზეზს ამ სფეროში მომუშავე ადვოკატების, იურისტების, სოციალური მუშაკების და სხვა პროფესიონალების მხრიდან გენდერული სტატისტიკის მიმართ ინტერესის ნაკლებობა, მისი მოთხოვნის და გამოყენების სურვილის არქონა წარმოადგენს. ხოლო იმაზე, რაზეც არ არსებობს მოთხოვნა, შესაბამისად არ ხორციელდება მიწოდება საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი ნორმით. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენდერული სტატისტიკის შეგროვების და გამოყენების გაძლიერებისათვის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა, სწორედ სტატისტიკის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებაა, რაც საზოგადოების მიერ სახელმწიფოსთვის სტატისტიკაზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოთხოვნის საწინდარი იქნება.